პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 42
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.

ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 178 (1033) პარასკევი 8 აგვისტო 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 178 (1033)

დ ღ ი უ რ ი

— საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას გადასცეს სა[illegible]ჩოს შენობა ჩინეთში.

— ამხ. კარახანს თათბირი ჰქონდა ამერიკის ელჩთან ჩინეთში.

— ბერლინში გამოვიდა სამი ახალი კომუნისტური გაზეთი.

— ლონდონში დააპატიმრეს კომუნისტური გაზეთის რედაქტორი.

— ესპანეთში მოელიან ფაშისტ-გენერალის დიქტატორ დე-რივერას გადადგომას.

— მოელიან მოლაპარაკების განახლებას ინგლისსა და [illegible]ლეთს შორის.

— საფრანგეთში დააპატიმრეს გერმანელი კომუნისტ[illegible].

შეთანხმება ინგლისთან

გუშინ ცნობა გვქონდა გამოქვეყნებული საბჭოთა კავშირის და ინგლისის კონფერენციის შეწყვეტის შესახებ.

დღეს ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ სულ უკანასკნელ მომენტში **მოხდა არსებითი გარდატეხა მხარეთა დამოკიდებულებაში. შეთანხმება მიღწეულ იქნა და ხელშეკრულება ხელმოწერილი.**

ჩვენ ვწერდით, რომ თუ კონფერენცია მართლა ჩაიშალა უშედეგოდ, მაკდონალდის ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყევა ინგლისის მუშათა კლასის და „რადიკალური" ბურჟუაზიის ნაწილის თვალშიც-კი.

მართლაც, ერთი მთავარი ლოზუნგი, რომელმაც მაკდონალდს გამარჯვება მიანიჭა საპარლამენტო არჩევნებში, იყო საბჭოთა კავშირთან ნორმალური დამოკიდებულების აღდგენა. ამ ლოზუნგმა პოპულიარობა მოიხვეჭა ინგლისის ფართე მასსებში და ბურჟუაზიის ზომიერ, საქმიან წრეებში. „მუშათა" მთავრობის დამარცხება ამ საკითხში, მის მიერ გაცემულ დაპირების შეუსრულებლობა,— ნდობას დაუკარგავდა მას ინგლისის ხალხის უმრავლესობის თვალში და, ადვილად მოსალოდნელია, ამას მოჰყოლოდა ლონდონის ეხლანდელი კაბინეტის დამხობაც კი.

ჩვენ ისიც ავღნიშნეთ, თუ როგორ უაღრესად საჭიროა ინგლისის კაპიტალისათვის საბჭოთა ქვეყნებთან საქმიან ურთიერთობის მოგვარება.

მიუხედავად ამისა, მაკდონალდი იმყოფებოდა ერთი მუჭა კაპიტალისტების ტყვეობაში. ინგლისის დელეგაცია მოითხოვდა რუსეთის ფასიან ქაღალდების მქონეთა და ნაციონალიზაციაქმნილ საკუთრების წინანდელ მფლობელ ინგლისელ მოქალაქეთა ყველა პრეტენზიების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას; მოითხოვდა წინასწარ სპეციალური ხელშეკრულების დადებას, რომელიც განსაზღვრავდა ყველა ჩვენ ვალდებულებათ, აგრეთვე—თანხას და მის გადახდის წესებს ნაციონალიზაცია მოხდენილ საკუთრების ყოფ. მეპატრონეთა დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ საბჭოთა დელეგაციამ საჭირო სიმტკიცე გამოიჩინა; ის, რა თქმა უნდა, არ დასთანხმდა ეყიდა ინგლისთან შეთანხმება ჩვენი რესპუბლიკების მეურნეობის დაქვეითების და მშრომელთა გალატაკების ხარჯზე.

ინგლისის დელეგაციის შეურიგებლობამ თავის ქვეყნის კაპიტალისტების პრეტენზიების საკითხში გამოიწვია კონფერენციის შეწყვეტა.

მაგრამ როცა მაკდონალდისათვის საბოლოოდ გამოირკვა, რომ საბჭოთა მთავრობა არ დასთანხმდება ჩვენი კავშირის მშრომელთა დამმონებელ პირობებზე, **—ის იძულებული გახდა უკან დაეხია.**

კატეგორიული „ფორმულა" ფასიან ქაღალდების მატარებელთა და ყოფ. მესაკუთრეთა პრეტენზიების საკითხში მოხსნილ იქნა. დადებულ ხელშეკრულებაში ლაპარაკია ინგლისელ მოქალაქეთა პრეტენზიების მხოლოდ „სამართლიან" დაკმაყოფილებაზე. ხელშეკრულების მიხედვით, საბჭოთა მთავრობა გააგრძელებს მოლაპარაკებას „ღირებულებათა" მატარებლებთან. რაც შეეხება „მესაკუთრეთა" პრეტენზიებს, ეს საკითხი განხილული იქნება ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისიის მიერ. საერთო ხელშეკრულება ამასთან, წინააღმდეგ ინგლისის დელეგაციის წინანდელი მოთხოვნისა, არ საზღვრავს პრეტენზიების ციფრს, აქ არის შეტანილი მხოლოდ „პრინციპიალური" შეთანხმება პრეტენზიების საკითხზე ამგვარად, ეს საკითხი შეადგენს საგანს ცალკე მოლაპარაკებისას, რომლის შედეგი შევა ხელშეკრულებაში დამატების სახით.

ამით არ განისაზღვრება მაკდონალდის უკან დახევა და ჩვენი გამარჯვება.

ფრიად მნიშვნელოვან მუხლად უნდა ჩაითვალოს ინგლისის მიერ **ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ცნობა აგრეთვე საბჭოთა სავაჭრო დელეგაციების დიპლომატიური ხელშეუხებლობის, ექსტერიტორიალობის აღიარება.**

ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პონსონბიმაც განაცხადა თემთა პალატაში, რომ ბრიტანეთის პრაქტიკაში ეს რამოდენიმედ უჩვეულო მოვლენაა.

მკითხველს ახსოვს, თუ რა ინცინდენტს ჰქონდა ადგილი ჩვენს და გერმანიას შორის ამავე საკითხის გამო. ბოლოს გერმანიის მთავრობა იძულებული შეიქნა შერიგებოდა ჩვენი საგარეო ვაჭრობის სისტემას და ეცნო საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის ექსტერიტორიალობა.

დღეს კი უძლიერესი ბურჟუაზიული სახელმწიფო—ინგლისი გახდა იძულებული მთლიანათ მიეღო ამ საკითხში ჩვენი თვალსაზრისი.

დადებულ ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანია სხვა მომენტებიც. მის მიხედვით, როგორც ეს ჩვეულებრივად მიღებულია საერთოდ ნორმალურ სავაჭრო ხელშეკრულებებში, ბრიტანეთს ენიჭება უპირატესობა საბჭოთა კავშირში მისი წარმოების პროდუქციის გასაღების დროს, **სამაგიეროდ ინგლისი აძლევს საბჭოთა კავშირს შესაძლებლობას ისარგებლოს საექსპორტო კრედიტით,** ე. ი. ნისიად შეიძინოს მისი საქონელი. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის, რომ, ხელშეკრულების თანახმად, **ინგლისის მთავრობა შეიტანს პალატაში კანონ-პროექტს საბჭოთა კავშირისთვის მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ სესხისმიცემის შესახებ,** როცა საბჭოთა ხელისუფლება მიაღწევს შეთანხმებას „ფასიან ქაღალდების" მატარებელ ინგლისელ მოქალაქეთა ნაწილთან.

ყურადღებას იპყრობს ის პუნქტიც, რომლის მიხედვით **წესდება არბიტრაჟის სისტემა** (სამედიატორო სასამართლო) **ყოველგვარი დამატებითი სავაჭრო შეთანხმებათა დადების და სადავო საკითხების გადაჭრის დროს.**

ამ რიგად საერთოდ წარმატებით დასრულდა ლონდონის კონფერენცია, საფუძველი ჩაეყარა ორი დიდი სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირის და ინგლისის საქმიან, ეკონომიურ თანამშრომლობას.

საბჭოთა ხელისუფლებამ მთელ რიგ საკითხებში ფრიად მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია.

ეს არის შედეგი, ერთი მხრივ, ჩვენი კავშირის სამეურნეო აღორძინების და სიძლიერის, საბჭოთა მთავრობის მშვიდობის მოყვარე, მაგრამ ამასთან ურყევი, მტკიცე პოლიტიკის, საბჭოთა მთავრობის, რომელიც მოსურნეა ყველასთან ჩამოაგდოს მეზობლური ურთიერთობა, ამისათვის შესაძლებელ დათმობებზეც მიდის, მაგრამ ამავე დროს მედგრად დგას რევოლიუციის მონაპოვართა და მშრომელთა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე; მეორე მხრივ ეს არის შედეგი საერთაშორისო ძალთა განწყობილების, რომელიც, რაც დრო გადის, იცვლება ჩვენს სასარგებლოდ; კერძოდ ინგლისის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობის და მის მშრომელთა სიმპატიების საბჭოთა კავშირისადმი, რაც აიძულებს ამ ქვეყნის ეხლანდელ მესვეურებს, თვით თავისი „ტყავის" გადასარჩენად, გამოიჩინონ ჩვენ მიმართ მეტი „ზომიერება", ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

ეჭვი არ ამის, რომ „რუსეთის კრედიტორები" და ნაციონალიზაციაქმნილი საკუთრების „მეპატრონენი", თავიანთი „ძველი თამასუქებით" და „ანგარიშებით" ხელში, კვლავ გააგრძელებენ თავიანთ გადაჭარბებულ პრეტენზიების დაკმაყოფილების მოთხოვნას. მაგრამ ისიც უდავოა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მომავალშიაც შესძლებს მათი მადის შეკვეცას.

ახალი კოოპერატიული ცენტრი ამიერ-კავკასიაში

დასრულდა ამიერ-კავკასიის მესამე კოოპერატიული კონფერენცია, რომელმაც მიიღო დადგენილება ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ცენტრის დაარსების შესახებ და აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები გამგეობის და საბჭოს სახით.

„ცენტროსოიუზ"-ის ამიერ-კავკასიის განყოფილების არსებობა მიზანშეუწონლად იქნა ცნობილი; ამიერ-კავკასიის კოოპერაციის ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიის ფედერალური ორგანოების წინაშე დაეკისრა ახლად შექმნილ კოოპერატიულ ცენტრს, რომელმაც საერთო იდეურ - ორგანიზაციული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ამიერ-კავკასიის მომხმარებელ კოოპერაციას.

ამასთანავე ერთად ახლად შექმნილ ცენტრს ევალება სამეურნეო ფუნქციების შესრულებაც. ცენტრმა უნდა მიაწოდოს კრედიტი თავის წევრებს, გაუწიოს მათ დახმარება პირდაპირი კავშირის დაჭერაში როგორც საბჭოთა კავშირის შინაურ ბაზართან, ისე საზღვარგარეთის ბაზრებთან. ცენტრი კისრულობს აგრეთვე საშუამავლო-საკომისიო ფუნქციებს, ასრულებს თავის წევრთა დავალებებს.

ამნაირად ამიერ-კავკასიის კოოპერაციის ნამდვილი მთლიანობა აღდგენილია და ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ორგანიზაციების ის დამოკიდებულება, რომელიც დამყარდა მენშევიკ-მუსავატ-დაშნაკელთა ბატონობის დროს, სრულ დავიწყებას ეძლევა.

ამიერ-კავკასიის კოოპერატიული მოძრაობა საერთო კალაპოტში სდგება და იქმნება მთლიანი კოოპერატიული ფრონტი, რომელიც შეეცდება სრული და მტკიცე გამარჯვების მოპოებას კერძო კაპიტალზე და ყველა იმ ამოცანების შესრულებას, რომელიც მას დაკისრებული აქვს საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელი მოსახლეობის მიერ.

ამიერ-კავკასიის კოოპერაცია გაერთიანებული იყო ჯერ კიდევ 1917 წელში, როდესაც დაარსებულ იქნა ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირი. შემდეგ ამიერ-კავკასიაში გაბატონებულ ნაციონალისტური პარტიების პოლიტიკის წყალობით მოხდა ამიერ-კავკასიის ცალკე დამოუკიდებელ ერთეულებათ გათიშვა. ამ პირობებში ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში მომქმედ კოოპერატიული ორგანიზაციების არსებობაც შეუძლებელი გახდა.

ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდანვე ხელმეორედ დაისვა საკითხი ამიერ-კავკასიის საერთო კოოპერატიული ცენტრის შექმნის შესახებ. ბაქოში შემდგარ ამიერ-კავკასიის პირველ კოოპერატიულ კონფერენციაზე 1921 წ. კიდეც დაარსებულ იქნა ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირი „ზაკსოიუზი".

მაგრამ ამ დროს ჩვენში პარალელურად არსებობდა და მოქმედებდა რუსეთის ცენტრალური კოოპერატიული კავშირის „ცენტროსოიუზის" ამიერ-კავკასიის კანტორა, თავის განყოფილებებით ყველა მნიშვნელოვან ცენტრებში. რასაკვირველია, ორი ორგანიზაციის პარალელურად არსებობა მიზანშეუწონელი იყო და შემდეგ კიდეც გამოტანილ იქნა დადგენილება ამ ორი ორგანიზაციის გაერთიანების შესახებ.

„ცენტროსოიუზ"-თან შეთანხმებით დაარსებულ იქნა „ცენტროსოიუზ"-ის ამიერ-კავკასიის განყოფილება.

ეს დაწესებულება ვერ წარმოადგენდა ამიერ-კავკასიის ნამდვილ კოოპერატიულ ცენტრს, ის უფრო „ცენტროსოიუზ"-ის წარმომადგენლობის ხასიათს ატარებდა და, როგორც ასეთი, ვერ იყო საკმაოდ დაახლოებული ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, ვერ უწევდა მათ ხელმძღვანელობას.

კოოპერატიული ორგანიზაციები ამიერ-კავკასიაში კი უკანასკნელ წელში საკმაოდ გაიზარდენ და განმტკიცდენ ეკონომიურად. პარტიამ და მშრომელმა მოსახლეობამ კოოპერაციას ამიერ-კავკასიაში ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, უკანასკნელ დროს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციები დააკისრა. საჭირო გახდა ამიერ-კავკასიის კოოპერატიული მოძრაობის სრული მთლიანობის განმტკიცება.

ეს საკითხი ამას წინათ განხილულ იქნა რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ, რომელმაც გამოიტანა დადგენილება ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის („ზაკსოიუზ") დაარსების და ცენტროსოიუზის ამიერ-კავკასიის განყოფილების დაშლის შესახებ და მისი ქონების ახლად დაარსებულ კოოპერატიულ ცენტრზე გადაცემით.

ამიერ-კავკასიის მესამე კოოპერატიულმა კონფერენციამ კიდეც მიიღო ეს დადგენილება და გამოიმუშავა საერთო ფორმები, რომელშია იარსებებს და იმოქმედებს ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ცენტრი.

კონფერენციამ ამასთანავე ერთად საჭიროთ სცნო, რათა ახლად დაარსებულმა ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა ცენტრმა, იკისროს რუსეთის ტრესტების და სინდიკატების წარმომადგენლობა მთელს ამიერ-კავკასიაში.

ამ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის და საერთოდ მთელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისთვის. ტრესტების და სინდიკატების ზოგიერთი წარმომადგენლები ჩვენში ხშირად კერძო კაპიტალს უფრო ემსახურებოდენ, ვიდრე კოოპერაციის და მშრომელი მოსახლეობის ინტერესებს.

ეს კი დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და მრავალ ყრილობებზე და კონფერენციებზე ისმოდა ხმები ტრესტების ადგილობრივ განყოფილებათა ლიკვიდაციის და მათი ფუნქციების ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის გადაცემის საჭიროების შესახებ.

თუ ეს ფუნქციები დაეკისრა ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ცენტრს ადგილი აღარ ექნება იმ დეფექტებს, რომელიც ემჩნეოდა ტრესტების და სინდიკატების ადგილობრივი განყოფილებების მუშაობას.

ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ორგანიზაციები სახელმწიფო მრეწველობა-ვაჭრობის ორგანოებთან ხელიხელ ჩაკიდებული პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას მუშათა კლასის და გლეხობის წინაშე.

ამიერ.-კავკასიის კოოპერაციის მთლიანი ფრონტის აღდგენით უნდა შევსძლოთ ყველა იმ ნაკლულევანებათა და დაბრკოლებათა დაძლევა, რომლებიც ხელს უშლის ჩვენი კოოპერაციის სასურველი ტემპით განვითარებას.

მშრომელი ხალხის ჯალათი

(ვ. ჯუღელის დაპატიმრების გამო)

მენშევიკებს, საერთოდ ჩვენებურ „პარიტეტულ" კონტრ-რევოლიუციას „ბედი არ წყალობს".

ივნისის ბოლო რიცხვებში დაპატიმრებულ იქნა საზღვარ-გარეთიდან „სამუშაოდ" ჩამოსული „ცნობილი" **ბენია ჩხიკვიშვილი.**

როგორც დღევანდელი გაზეთიდან გაიგებს მკითხველი, სულ ბოლო ხანებში „ჩავარდა" „პარიტეტულ კომიტეტის" რამოდენიმე აგენტი,—ტერორისტი, „სამხედრო ორგანიზაციის რწმუნებული", ბანდიტი.

ხოლო 6 აგვისტოს თბილისში დააპატიმრეს **ვ. ჯუღელი.** ვინ არ იცნობს მას საქართველოში? ვ. ჯუღელი,— ყოფილი ბოლშევიკი,—რევოლიუციის შემდეგ გადაიქცა მშრომელი ხალხის ჯალათად, მოსისხლე მტრად.

ის იყო ორგანიზატორი, სულისჩამდგმელი, ხელმძღვანელი „სახალხო გვარდიის", რომელიც წარმოადგენდა მენშევიკური ხელისუფლების მთავარ დასაყრდენ სამხედრო ძალას.

ის თავისი „გვარდიით" მუსრს ავლებდა აჯანყებულ რევოლიუციურ მუშებს და გლეხობას. მან მებრძოლ საბჭოთა ხელისუფლებისათვის გლეხების უმანკო სისხლით მორწყო, მათი ძვლებით მოფინა დუშეთის მაზრა, აფხაზეთი, სხვა კუთხეები. ის ნერონისებურად „ესთეტიურ სიამოვნებას" განიცდიდა მის მიერვე ცეცხლმოკიდებულ ოსეთის სოფლების სურათით.

„სახალხო გვარდია" ჯუღელის „ლოცვა-კურთხევით" აწიოკებდა არა მარტო აჯანყებულ, რევოლიუციონურ მშრომელ მასსას, არამედ მშვიდობიან მოსახლეობასაც. „სახალხო გვარდია" მისი მეთაურობით ტყუილ-უბრალოდ ამათრახებდა გლეხობას, აპარტახებდა მის სახლ-კარს, ართმევდა სარჩო-საბადებელს, აუპატიურებდა ქალებს. არ არის სისაძაგლე, რომელიც არ ჩაედინოს ჯუღელს და მის „ოპრიჩინას", შეიარაღებულ ბრბოს.

არავის მიუძღვის იმდენი დანაშაული რევოლიუციისა და ხალხის წინაშე, რამდენიც ჯუღელს. საქართველოს გლეხობას არ დავიწყებია მის მიერ ჩადენილი საშინელებანი და უმსგავსოებანი.

ხალხის აბობოქრებულ რისხვას ის გადურჩა დროებით, მენშევიკების სხვა „გენერლებთან" ერთად თავს უშველა რა საზღვარ-გარედ გაქცევით.

„ბედის წერას" კვლავ დაუბრუნებია ეს „რაინდი" ჩვენს ქვეყანაში.

მენშევიკური „პარტია", ე. ი. თითო-ოროლა თავზე ხელაღებული ბანდიტები არ ისვენებენ.

მათ წააგეს ყველგან. საქართველოს მშრომელ ხალხმა მათ ზიზღით შეაფურთხა. ევროპაში ხეტიალმა არაფერი მოუტანა ამ ავანტიურისტებს.

მიუხედავად ამისა ისინი კვლავ ოცნებობენ აჯანყების მოწყობას მუშურ-გლეხური მთავრობის დასამხობად, თავიანთი „დაკარგული სამოთხის", ბატონობის აღსადგენად. მათ „პატრიარქმა" ნ. ჟორდანიამ აჯანყების „გეგმაც" შეიმუშავა. ჩვენი მკითხველი იცნობს მას.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მათ არავინ აჰყვება. მენშევიკ-ავანტიურისტები მომხრეებს მარტო ტყის ყაჩაღებში, საზოგადოების ნაძირალებში თუ იპოვიან.

საბჭოთა ხელისუფლება ამ ბანდიტების არსებობას, რა თქმა უნდა, ვერ მოითმენს. რევოლიუციის დამცველი ორგანო, „ჩეკა" ლიკვიდაციას უშვება მათ უკანასკნელ ნაშთებს.

ჯუღელის დაპატიმრება „ჩეკას" მორიგი გამარჯვებაა.

ამ ამბავს დიდი კმაყოფილებით შეხვდება მთელი საქართველოს მშრომელი და პატიოსანი მოსახლეობა.

ის ამასთან მოითხოვს სასტიკ მსჯავრის დადებას ამ ვაჟბატონზე. ჯუღელი უნდა იქნას საჯაროდ გასამართლებული. მან პასუხი უნდა აგოს მუშების და გლეხების ზღვა სისხლისათვის, რომელიც ამ ორფეხმა მხეცმა დააქცია.

X.

შეთანხმება ინგლისთან მიღწეულია

ინგლისის მთავრობა გვაძლევს სესხის გარანტიას

საბჭოთა კავშირს მიეცემა საექსპორტო კრედიტი

ინგლისი სცნობს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას

ხელშეკრულება მოკლე ხანში შევა ძალაში

ჩვენი სავაჭრო დელეგაცია ისარგებლებს ექსტერიტორიალობის და ხელუხლებლობის უფლებით.

მოლაპარაკება განახლდა

ბერლინი, 6 აგვისტო. როგორც ლონდონიდან იტყობინებიან, განახლდა ინგლისის და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება მაკდონალდის დაჟინებითი მოთხოვნით.

შეთანხმება მიღწეულია

პონსონბის განცხადება

ლონდონი, 6 აგვისტო. დღეს საღამოს გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პონსონბიმ თემთა პალატაში განაცხადა, რომ მოლაპარაკება **ბრიტანეთის და საბჭოთა დელეგაციებს შორის გრძელდებოდა უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში და დღეს ნაშუადღევს დამთავრდა შეთანხმებით.** პონსონბიმ დასძინა, რომ ის აჩქარებდა მოლაპარაკებას იმიტომ, რომ სურდა გადაეცა თემთა პალატისათვის ცნობა შეთანხმების შესახებ მისი მუშაობის დამთავრების წინ. დასძინა რა, რომ ხელშეკრულება გადაეცემა პალატას, პონსონბიმ განაცხადა, რომ კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობდა მეგობრულად და რომ ბევრი სადაო საკითხი გადაწყდა უშუალო მოლაპარაკებით მასსა და რაკოვსკის შორის. კონფერენციის მუშაობის განმავლობაში ქვეკომისიები მუშაობდენ დამოუკიდებლად იმ დეტალებზე, რომლებიც შეტანილ იქნა ხელშეკრულებაში სხვადასხვა მუხლების სახით. პონსენბი დასძენს, რომ ყველა იმ ძნელ საკითხებს შორის, რომლებთანაც მუშათა მთავრობას საქმე ჰქონდა ხელისუფლების სათავეში ჩადგომის დღიდან, თითქმის არც კი ყოფილა უფრო ძნელად გადასაჭრელი პრობლემა, ვიდრე საკითხი რუსეთის და ინგლისის ურთიერთობის შესახებ.

ხელშეკრულების შინაარსი

ლონდონი. 7 აგვისტო. ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციამ მიაღწია შეთანხმებას. ხელმოწერილია საერთო ხელშეკრულება ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამგვარად სასურველად დაბოლოვდა გუშინდელი მდგომარეობა, როდესაც ოფიციალურად იყო გამოქვეყნებული, რომ მოლაპარაკება შესწყდა.

მაკდონალდის ჩარევის ფაქტს სთვლიან მის ახალ დიპლომატიურ გამარჯვებად.

დღეს ლონდონის და საბჭოთა კავშირის ექსპერტებმა სასწრაფოდ ხელახლა შეიმუშავეს ხელშეკრულების 14-ე მუხლი, რომლის გამოც გუშინ შესწყდა მოლაპარაკება. ტექსტის ხელახლა გამომუშავების შემდეგ რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების პროექტს.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ახალი შეთანხმება არ განსაზღვრავს რუსეთის მიერ ომამდე აღებულ ვალებს და ბრიტანელების ზარალის საერთო ციფრს, მაგრამ ითვალისწინებს მომავალ შეთანხმებათა საერთო პირობებს.

საბჭოთა მთავრობა სცნობს ფასიან ქაღალდების ბრიტანელ მეპატრონეთა უფლებას. მათთან გაგრძელდება სეპარატიული მოლაპარაკება. ახლო მომავალში განხილული იქნება სხვა დანარჩენი პრეტენზიები.

თავის მხრივ ინგლისი მზადაა მისცეს საბჭოთა კავშირს სესხის გარანტია. როდესაც მაკდონალდმა ამის შესახებ გააკეთა მოხსენება თემთა პალატაში, მას ირონიული რეპლიკებით შეხვდენ ოპოზიციონერები.

20 დღის გასვლის შემდეგ, შეთანხმების მიღწევის დღიდან, ხელშეკრულება შეტანილი იქნება თემთა პალატაში დასამტკიცებლად.

დადებული ხელშეკრულება შეიცავს მუხლს ორივე მხარეს მიერ პროპაგანდის შეწყვეტის შესახებ. პონსონბის სიტყვით, ხელშეკრულების ამ მუხლს უფრო მკაცრი რედაქცია აქვს, ვიდრე წინად დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებებში.

დაწვრილებითი ცნობები

მოულოდნელი გარდატეხა

ლონდონი, 7 აგვისტო. გაზ. „ნიუ-იორკ-ტრიბუნ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი „ტრაღიკულს" უწოდებს ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებაში მომხდარ გარდატეხას იმის შემდეგ, როცა ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მოლაპარაკება შეწყვეტილია.

უკანასკნელ წუთში შეთანხმების მიღწევას აწერენ მაკდონალდის ცდას.

როგორც იუწყებიან გუშინ დილით 5 საათზე, ყველაფერი გათავებულად ითვლებოდა. მაკდონალდმა მიიწვია ინგლისისა და საბჭოთა კავშირის დელეგატები.

განსაკუთრებით ძნელი იყო შეთანხმების მიღწევა მეთოთხმეტე მუხლის შესახებ, რომელიც ცნობს საბჭოთა კავშირის მონოპოლიას საგარეო ვაჭრობაზე და საბჭოთა სავაჭრო დელეგაციების ექსტერიტორიალობას.

კორესპონდენტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი შეტანილია ინგლისის ექსპორტის საკრედიტო სქემაში, რის ნაცვლად ინგლისს ენიჭება უპირატესობა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის მუხლი, რომლის თანახმად ყველა სადაო საკითხები გადაწყდება სამედიატორო სასამართლოს საშვალებით.

პონსონბის მოხსენება

ლონდონი. 7 აგვისტო. თემთა პალატაში პონსონბიმ, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, გააკეთა მოხსენება ინგლისის—საბჭოთა კავშირის შეთანხმების შესახებ. პონსონბიმ განაცხადა, რომ ხელმოწერილია ორი ხელშეკრულება—სავაჭრო და საერთო.

სავაჭრო ხელშეკრულებას აქვს ჩვეულებრივი სავაჭრო ხელშეკრულების ხასიათი. ხელშეკრულების თანახმად ინგლისს ენიჭება უპირატესობა მისი წარმოების პროდუქტების გასაღების მხრივ, **სამაგიეროდ ინგლისი საშუალებას აძლევს საბჭოთა კავშირს ისარგებლოს საექსპორტო კრედიტით.**

როგორც პონსონბიმ განაცხადა, დადებულ ხელშეკრულებაში შეტანილია ფრიად მნიშვნელოვანი მუხლი ყოველგვარ დამატებით სავაჭრო ხელშეკრულებათა დადების დროს არბიტრაჟის სისტემის შემოღების შესახებ.

ხელშეკრულების მეორე მუხლის თანახმად, ინგლისის მთავრობა იღებს რა მხედველობაში იმას, რომ **საბჭოთა კავშირში გამოცხადებულია საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ანიჭებს საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციებს ბრიტანეთში დიპლომატიურ ხელშეუხებლობის უფლებას, რომელიც ვრცელდება, როგორც ამ დელეგაციების წევრებზე, ისე სამმართველოების თანამშრომლებზე.** თავის მოხსენებაში პონსონბი ხაზს უსვამს, რომ სავაჭრო დელეგაციების ექსტერიტორიალობის ფაქტი წარმოადგენს ინგლისის პრაქტიკაში ერთგვარ არა ჩვეულებრივ მოვლენას.

საერთო ხელშეკრულების დადების გამო პონსონბიმ განაცხადა, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს იმ ხელშეკრულებათა განმეორებას, რომლებიც დადებული იყო წინად ყოფ. რუსეთის იმპერიასა და დიდ ინგლისის შორის. **საერთო ხელშეკრულებაში ჩამოთვლილია ის შეთანხმებანი, რომელთაც დაჰკარგეს ძალა და აგრეთვე ის ხელშეკრულებანი, რომელთაც განაახლეს მოქმედება, მაგრამ რომლებსაც ესაჭიროება** ამ ჟამად გადასინჯვა ზოგიერთ მუხლებში. საერთო ხელშეკრულებაში აღნუსხულია მთელი რიგი დებულებათა ტერიტორიალურ წყლების საკითხზე. მაგრამ ხელშეკრულება ღიათ სტოვებს საკითხს სათანადო საერთაშორისო ხელშეკრულების დადებამდე. **პონსონბის სიტყვით, ხელშეკრულების დებულებები,** რომლებიც ეხებიან თეთრი ზღვის საკითხს ერთნაირად აკმაყოფილებს როგორც ინგლისის ექსპერტებს ისე ინგლისის მეთევზეებს.

შემდეგ პონსონბიმ განაცხადა, რომ ინგლისის წარმომადგენლები იხილავდენ რუსეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეების და მესაკუთრეთა პრეტენზიებს. პრეტენზიების ამოცანების გადაწყვეტა მით უფრო საძნელო აღმოჩნდა, რომ **ბრიტანეთის ინტერესების დაცვის დროს საჭირო იყო არ გადაედგათ ისეთი ნაბიჯები, რაც იქნებოდა საბჭოთა კავშირის საქმეში ჩარევა ან აზრის გამოთქმა საბჭოთა კანონების შესახებ.** ამასთანავე ერთად, რომ დაკმაყოფილებული უნდა იქნას ბრიტანელ მოქალაქეთა პრეტენზიები. პონსონბის განცხადების თანახმად, ხელშეკრულების 6 მუხლი შეიცავს დებულებას, რომელიც ადასტურებს **საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას განაგრძოს მოლაპარაკება ფასიან ქაღალდების მეპატრონეებთან.**

რაც შეეხება ყოველგვარ სხვა პრეტენზიებს საჭიროა ცალკე ხელშეკრულებათა დადება ამ პრეტენზიების განხილვის წესის მიხედვით.

ორივე მხარეებმა უნდა დანიშნონ კომისიის წევრები საკუთრების ალდგენის პრეტენზიების განსახილველად და ამ პრეტენზიების დაკმაყოფილების წესის შემოსაღებად.

ბოლოს პონსონბიმ აღნიშნა, რომ ახალი ხელშეკრულება სრულიადაც არ განსაზღვრავს სხვადასხვა პრეტენზიების სწორ ციფრს, მაგრამ განსაზღვრავს პრინციპიალურ შეთანხმებას პრეტენზიების საკითხზე. თავის თავად ხელშეკრულება წარმოადგენს მხოლოდ პირველ ნაბიჯს ამ საკითხის გადასაჭრელად მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილებული იქნება ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა ერთი ნაწილი და მიღწეული იქნება შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება დადებულ ხელშეკრულების დამატებად. **ინგლისის მთავრობა შეიტანს თემთა პალატაში წინადადებას საბჭოთა მთავრობისათვის სესხის მიცემის გარანტიების შესახებ.**

რეიტერის სააგენტოს ცნობა

უკანასკნელი სიტყვა კიდევ არ თქმულა

ლონდონი, 6 აგვისტო. როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება სარწმუნო წყაროებიდან, ოფიციალურ წრეებში არ უკეთებენ კომენტარიებს ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე ამ ჟამად შექმნილ მდგომარეობას, ვინაიდან დღეს მოსალოდნელია თემთა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგის პონსონბის გამოსვლა ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების საკითხის შესახებ. **შესაძლებელია, რომ უკანასკნელი სიტყვა ამ საკითხის შესახებ კიდევ არ თქმულა და რომ მოხდება შემდეგი შეთანხმება ორთავე მხარეს შორის.** მდგომარეობა ჯერ გამოურკვეველი რჩება.

ნაადრევი სიხარული

„დე-დება"-ს წერილი

პარიზი, 6 აგვისტო. საღამოს გაზეთები იტყობინებიან ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის დამთავრების შესახებ. ამის გამო საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის ორგანო „ჟურნალ დე-დება" აცხადებს რომ ერრიო ძალიან მოუფიქრებლად მიუდგა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხს და რომ საჭიროა ენერგიული წინააღმდეგობა იმისათვის, რომ ერრიომ არ ჩაიდინოს ეს დიდი შეცდომა.

პანების სამეფოში

12 საათის სამუშაო დღე.

ვარშავა. 4 აგვისტო. ზემო სილეზიაში გაფიცვა გრძელდება მაღაროების მეპატრონეებმა, რომელნიც უკმაყოფილო არიან მთავრობის მიერ გამოცემული კანონით ლითონის მრეწველობაში 10 საათის შემოღების შესახებ, აცნობეს მაღაროებში მომუშავეთ, რომ მაღაროების სამუშაოდ დაწესებულია 9 საათი, ხოლო მიწის ზედაპირზე 12 საათი.

კომუნისტების წინააღმდეგ.

ვარშავა. 4 აგვისტო. პოლონეთის სოციალისტთა პარტიის ორგანო „რაბოტნიკი" ათავსებს რა ომის ათი წლის თავზე გამოქვეყნებულ მე-2 ინტერნაციონალის მანიფესტს, არ ფარავს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მანიფესტი არ შეიცავს კომპარტიის გინებას. „რაბოტნიკ" სწერს, რომ პოლიციის სოციალისტების პარტიამ გადასწყვიტა გაემიჯნოს კომუნისტებს და ამ მიზნით დაადგინა პოლონეთის მუშების ინტერესების უზრუნველსაყოფად ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები შეურიოს სექტემბერში კომუნისტებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციას.

პოლონეთში მღელვარებაა

ვარშავა. 5 აგვისტო. 100 კაცისაგან შემდგარი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა საზღვრის განაპირა ქალაქს სტოლბცის; რაზმმა შეუტია პოლიციის შენობას და დაიკავა ფოსტა, რკინის გზის სადგური, ხაზინა და ციხე. აჯანყებულების წინააღმდეგ გამოსულმა პოლიციამ დაჰკარგა ერთი პოლიციელი მოხელე და რამოდენიმე მოკლული პოლიციელი. დაჭრილია რამოდენიმე ათეული კაცი. პარტიზანების წინააღმდეგ შემდეგ გამოვიდა მე-27 ულანთა პოლკი. ერთი საათის განმავლობაში ქალაქი და სადგური აჯანყებულების ხელში იყო; პარტიზანებმა დაანგრიეს პოლიციის შენობა, რკინის გზის სადგური, გაიტაცეს ფული ფოსტის სალაროდან და მიიმალნენ. ორი პარტიზანელი ტყვეთ დარჩა. სტოლბციზე თავდასხმის გამო, სასწრაფოდ მოწვეულ იქნა მინისტრთა საბჭოს პოლიტიკური კომიტეტი.

მოკავშირეთა და გერმანიის მოლაპარაკება

გერმანიის დელეგაცია მოითხოვს ჯარების გაყვანას რურიდან

ფიქრობენ, რომ შეთანხმება მიღწეული იქნება

გერმანიის დელეგატებს თათბირი ჰქონდათ მაკდონალდთან

გერმანიას ერრიოს მხრივ დათმობის იმედი აქვს.

გერმანიის დელეგაციის გეგმა

დოუესის პროექტს იცავენ.

ბერლინი, 6 აგვისტო. გერმანიის დელეგაცია ლონდონში დაიცავს დოუესის პირვანდელ გეგმას.

გერმანიის მთავრობას აზრად აქვს დემონსტრატიულად განაცხადოს, რომ გერმანიას ფიქრადაც არ მოსვლია გალაშქრება დოუესის გეგმის წინააღმდეგ. იგი დაიცავს დოუესის პირვანდელ გეგმას და ეცდება მიაღწიოს მაქსიმალურ დათმობას. საჭიროა აღინიშნოს, რომ ნაციონალისტური პრესა, რომელიც ოპოზიციაში უდგა დოუესის გეგმას, დღეს სრულიად არ აქცევს ყურადღებას ლონდონში მომხდარ მოლაპარაკებას, ვინაიდან არა სურს დაბრკოლებები შეუქმნას გერმანიის დელეგაციას ლონდონში.

კონფლიქტს ერიდებიან

კონფლიქტს ერიდებიან

ერიდებიან ზედმეტ სიტყვებს.

ლონდონი. 6 აგვისტო. მოკავშირეთა კონფერენციის პლენარულ სხდომას, გერმანელ დელეგაციის მონაწილეობით ჰქონდა ფორმალური ხასიათი; არც მაკდონალდს და არც მარქსს თავიანთ სიტყვებში არაფერი არ უთქვამთ ომის დაწყებისათვის პასუხისმგებლობის და რურის ევაკუაციის შესახებ. გერმანიის დელეგაციას გადაეცა მასალები, რომლებიც დაკავშირებულია კონფერენციაზე გამოტანილ გადაწყვეტილებებთან: შემდეგი პლენარული სხდომა გაიმართება მას შემდეგ, რაც გერმანელი დელეგატები განიხილავენ ამ გადაწყვეტილებებს.

ერრიოს მუქარა

რურის საკითხი კერძო მოლაპარაკების დროს გადაიჭრება.

პარიზი. 6 აგვის. პარიზის ბურჟუაზიული პრესა მოუთმენლად ელის გერმანელების გამოსვლას მოკავშირეთა კონფერენციაზე. გამოსთქვამენ შიშს, რომ გერმანელები კონფერენციაზე აღძრავენ საკითხს ომისათვის პასუხისმგებლობის და რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ. გაზეთები ათავსებენ ერრიოს განცხადებას იმის შესახებ, რომ ის დასტოვებს სხდომის დარბაზს, თუ გერმანელი დელეგატები დააყენებენ ამ საკითხებს. პრესა იუწყება, რომ ერრიომ და მაკდონალდმა ერთხულოვნად გადასწყვიტეს კონფერენციაზე არ იქნას განხილული ისეთი პრობლემები, რომელიც დოუესის გეგმის საზღვრებს სცილდება. ამგვარად რურის სამხედრო ევაკუაციის საკითხი შეიძლება იქნას განხილული მოკავშირეთა და გერმანიის დელეგაციებს შორის გამართულ კერძო მოლაპარაკების დროს, მაგრამ ეს საკითხი არ იქნება დაყენებული ოფიციალურ სხდომაზე.

გერმანიის დელეგაციის შენიშვნები

ლონდონი, 7 აგვისტო. 7 სახელმწიფოს დელეგაციების მეთაურთა კრებაზე მოსმენილ იქნა გერმანიის შენიშვნები მოკავშირეების შეთანხმების ცალკე მუხლების წინააღმდეგ. მარტო საფრანგეთის დელეგაციამ გამოსთქვა უკმაყოფილება გერმანიის შენიშვნების და უმთავრესად სნოუდენის იმ წინადადების გამო, რომელიც მოითხოვდა ამ შენიშვნების გადაცემას განსახილველად კონფერენციის სამი კომისიისათვის.

ერრიოს შიში.

ერრიო შიშობს, რომ ეს გარემოება გამოიწვევს მრავალ იმ საკითხების ხელახლად განხილვას, რომელთა შესახებ უკვე მიღწეულ იქნა შეთანხმება ჯერ კიდევ გერმანიის დელეგაციის ლონდონში ჩამოსვლამდე.

ინგლისის და ბელგიის დელეგატების განცხადება

ინგლისის და ბელგიის დელეგატებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ იმ მუხლთა მეტ ნაწილს, რომელთა შესახებ გერმანიის დელეგაცია ადგენს შენიშვნებს, აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა და ამას არ უნდა მოჰყვეს დავა. ამ მუხლებს შორის არის საკითხები რურის ეკონომიური ევაკუაციის დასრულების ვადის და ნატურით გადახდის წესის იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეიტანა კონფერენციამ ექსპერტთა გეგმაში.

მაკდონალდი აჩქარებს

მაკდონალდმა, რომელიც, მისი სიტყვებით, ძლიერ ცდილობს შეთანხმების სასწრაფოდ მიღწევას, აღნიშნა, რომ კომისიები შესძლებენ ამ საკითხების მოგვარებას რამოდენიმე საათის განმავლობაში, რის შემდეგაც ისინი მოხსენებას წარუდგენენ კონფერენციის პლენარულ სხდომას.

მაკდონალდმა წინადადება მისცა გენერალ ნოლლეს სასწრაფოდ აცნობოს საფრანგეთის დელეგაციას გადაწყვეტილება რურის დაუყონებლივ ევაკუაციის საკითხის შესახებ.

გერმანია დათმობას მოელის

ლონდონი. 7 აგვისტო. გუშინდელი დღის განმავლობაში გერმანიის დელეგაციას ჰქონდა მთელი რიგი თათბირებისა მოკავშირეთა დელეგატებთან. თათბირების შედეგების მიხედვით შეთანხმება მოახლოვებულია. შესაძლებელია, რომ კონფერენცია გავრძელდეს მომავალ კვირამდე, თუმცა-ღა მაკდონალდი, რომელსაც განზრახული ჰქონდა შაბათს შოტლანდიაში გაგზავრება, ფიქრობს, რომ კონფერენცია თავის მუშაობას დაამთავრებს პარასკევს.

გერმანიის დელეგაციას დათმობის იმედი აქვს ერრიოს მხრით. თუ საფრანგეთის დელეგაცია დათმობაზე წავა იმ მუხლებში, რომელთაც ეხებიან გერმანელები, უკანასკნელები არ შექმნიან დაბრკოლებებს დანარჩენ საკითხებში.

ჩვენ და უცხოეთი

ჩინეთი

საელჩოს შენობა გადმოგვცეს.

ნაუენი, 7 აგვისტო. ყოფ. მეფის გენერალური საელჩოს შენობა შანხაიში, რომელიც დიდი ხანია შეადგენდა სადაო საგანს ჩინეთის მთავრობასა და საბჭოთა კავშირს შორის, გადაეცა საბჭოთა მთავრობას.

ამერიკა.

ამერიკის ელჩის და კარახანის შეხვედრის გამო.

ტოკიო, 6 აგვისტო. ტოკიოს პოლიტიკურ წრეებში მითქმა-მოთქმა გამოიწვია კარახანის შეხვედრამ ამერიკის ელჩთან პეკინში საბჭოთა კავშირის საელჩოსათვის ჩინეთში მეფის მთავრობის მისიის შენობის გადაცემის საკითხის შესახებ. იქაურ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ეს შეხვედრა არის შედეგი ამერიკის საქმიან წრეების ცდის დაუახლოვდენ საბჭოთა კავშირს. ტოკიოში ფიქრობენ აგრეთვე, რომ გერმანიის ზურგს უკან სდგას სინკლერის კომპანია. ამის გამო იაპონიის წრეებში ფიქრობენ, რომ სახალინის ნავთის კონცესიების საკითხის გადაჭრა რთულდება.

მატეოტის მოკვლის გარშემო

მატეოტის საფლავს ეძებენ

რომი, 5 აგვისტო. იმ ეჭვის გამო, რომ მატეოტის გვამი დასაფლავებულია რომის ცენტრალურ სასაფლაოზე, ადმინისტრაციამ მოახდინა, იმ საფლავის გათხრა, რომელშიაც ვითომ დასაფლავებულია მატეოტი და აგრეთვე ოთხი სხვა საფლავის რომლებზედაც მიუთითებდენ ხმები, მაგრამ არც ერთ საფლავში არ ყოფილა აღმოჩენილი მატეოტის გვამი.

დამოუკიდებელი გამოძიება

რომი. 5 აგვისტო. იტალიის გაზეთები იტყობინებიან, რომ დეპუტატი-რეფორმისტი ზანიბონი აწარმოებდა დამოუკიდებელ გამოძიებას მატეოტის გვამის ადგილ-მდებარეობის გამორკვევის მიზნით და დაამტკიცა, რომ 13 ივნისს გვამი მიტანილი იყო რომის სან-ჯანკომოს გოსპიტალში, საიდანაც ის გადაგზავნილი იქნა პირდაპირ სასაფლაოზე. სასაფლაოს წიგნში ზანიბონიმ იპოვა წარწერა იმის შესახებ, რომ 16 ივნისს ღამით დასაფლავებული იქნა უცნობის გვამი, რომელიც გადმოგზავნილი იქნა გოსპიტლიდან, მაგრამ, გოსპიტალის მოსამსახურეთა ჩვენებით, იმ ხანებში არავითარი გამოუცნობი გვამი არ მიუტანიათ საავადმყოფოში.

იაპონია იარაღდება

ტოკიო. 6 აგვისტო. იაპონია შეუდგა სამხედრო ავიაციის გაძლიერებას. განზრახულია 24 ახალ საავიაციო კორპუსის შედგენა. განზრახულია აგრეთვე სამხედრო ავიაციის სკოლების გახსნა, მძიმე ზარბაზნების რიცხვის გადიდება, ყველა სკოლებში სამხედრო სწავლების შემოღება, ტანკების მოწყობა მახრჩობელა გაზებით. აღნიშნავენ, რომ ამგეგმის განსახორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები დაიფარება მომქმედი არმიის შემადგენლობის შემცირების გზით. მაგრამ ამავე დროს იუწყებიან, რომ ახლო მომავალში კორეიაში გაიგზავნება 3 ახალი დივიზია.

ამერიკა კმაყოფილია

ლონდონი 7 აგვისტო. ამერიკელები ძლიერ კმაყოფილი არიან გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვით გერმანელი დელეგატები შეყვანილი იქნებიან ყველა სამ კომისიაში. ამერიკელების აზრით, თუ დათმობით გადაწყდა საკითხი რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ, გერმანიის დელეგაცია სამაგიეროდ დათანხმდება მოკავშირეთა უფრო მკაცრ სამხედრო კონტროლზე და მიიღებს წინადადებას გერმანიის პოლიციის შემცირების შესახებ. იტყობინებიან, რომ მარქსი და შტრეზემანი ბევრს საკითხებში ემორჩილებიან იუზის რჩევებს.

რურის ევაკუაციის საკითხი

მაკდონალდის განცხადება.

პარიზი. 7 აგვისტო. უპასუხა რა ლლოიდ-ჯორჯის შეკითხვაზე თემთა პალატაში რურის ევაკუაციის შესახებ, მაკდონალდმა სთქვა, რომ ექსპერტთა გეგმა საშუალებას იძლევა თავი დააღწიონ იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა 1923 წ. იანვარში როდესაც მოხდა რურის ოკუპაცია.

კელნის ზონის ევაკუაციის შესახებ მაკდონალდმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა არავითარ ვალდებულებებს არ კისრულობს ამ მხრივ. „ყოველ შემთხვევაშიო, სთქვა მაკდონალდმა, ჩვენ ნებას არ მივცემთ არც ერთ ინგლისელ ჯარისკაცს ერთი წუთითაც კი დარჩეს კელნის ზონაში იმ ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც საჭიროა ვერსალის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობების შესასრულებლად".

დავა ვადის შესახებ.

პარიზი. 7 აგვისტო. „ფოსიშე ცაიტუნგი" ამბობს, რომ თუ ფრანგებმა გამოიჩინეს ჯიუტობა ოკუპაციის კიდევ 2 წლით გაგრძელების საკითხში, მაშინ კონფერენციას საფრთხე მოელის, ვინაიდან გერმანია ასეთ ვადაზე არ დასთანხმდება".

გერმანიის დელეგაცია

მარქს-შტრეზემანის თათბირი

ნაუენი, 7 აგვისტო. ლონდონის გაზეთების ცნობით, მოკავშირეთა დელეგაციების მეთაურებს და მარქს-შტრეზემანს შორის და იწყო განხილვა გერმანიის შენიშვნებისა კონფერენციის გადაწყვეტილებების შესახებ.

მარქსმა და შტრეზემანმა ინახულეს მაკდონალდი, რომელთანაც განიხილეს მთელი რიგი ტეხნიკურ საკითხებისა.

სესხი გერმანიისათვის

შახტის თათბირი ბანკირებთან

ნაუენი, 7 აგვისტო. ლონდონში ჩავიდა რეიხსბანკის თავმჯდომარე შახტი, რომელსაც ჩასვლისთანავე ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა ამერიკის და ინგლისის ბანკირებთა და აგრეთვე საფინანსო ექსპერტებთან.

რურის ოკუპაციის წინააღმდეგ

გერმანიის დელეგაციის მოთხოვნილებანი.

პარიზი. 6 აგვისტო. „ფოსიშე ცაიტუნგის" ცნობით, გერმანიის დელეგაცია მოკავშირეთა კონფერენციაზე ენერგიულად გაილაშქრებს ოკუპაციის კიდევ ორი წლით გაგრძელების წინააღმდეგ. კორესპონდენტის ცნობით, კონფერენციის წარმატებით დამთავრება დამოკიდებული გერმანიის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

კომისიების მუშაობა

14-თა კომისია.

ნაუენი, 7 აგვისტო. გერმანიის დელეგაციას მისცეს წინადადება გაგზავნოს 2 წევრი „თოთხმეტთა კომისიაში", რომელიც შედგენილია გერმანიის დელეგაციის მიერ გაკეთებულ შენიშვნების დეტალურად განსახილველად. კომისიის პირველი სხდომა გაიმართა გუშინ მარქსის და შტრეზემანის მონაწილეობით.

სარეპარაციო კომისიის სხდომა.

ნაუენი, 7 აგვისტო. დღეს სარეპარაციო კომისიის სხდომაზე, გერმანიის ფინანსთა მინისტრის ლიუტერის მონაწილეობით, განხილული იქნება მთელი რიგი ტეხნიკურ საკითხებისა რომლებიც დაკავშირებულია ექსპერტთა გეგმის გატარებასთან.

თათბირი მაკდონალდთან.

ნაუენი, 7 აგვისტო. გუშინ გაიმართა რამდენიმე თათბირი მაკდონალდსა, მარქსსა და შტრეზემანს შორის.

პრესის აზრი

გაზეთების ოპტიმიზმი.

ნაუენი. 7 აგვისტო. ლონდონის გაზეთების საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ კონფერენციის წარმატება დამოკიდებულია იმ შეთანხმებაზე, რომელიც მიღწეული იქნება გერმანიის, საფრანგეთის და ბელგიის დელეგატებს შორის რურის სამხედრო ევაკუაციის და რკინისგზების საკითხში.

„პტი პარიზენი" ამბობს: „გერმანიის დელეგაცია შეუთანხმდა მოკავშირეებს. საჭიროა აღინიშნოს კეთილ სურვილები, რომელიც ახასიათებს დელეგაციის ყოველ გამოსვლას".

დემოკრატიულ ინგლისში

პრესის „თავისუფლება"

ლონდონი. 6 აგვისტო. ლონდონის პოლიცია თავს დაესხა ბრიტანეთის კომპარტიის ცეკას შენობას. დაპატიმრებულია კომუნისტურ ორგანოს „უორკერს უიკლი"-ს რედაქტორი კემპბელი, რომელსაც ბრალად ედება აგიტაციის გაწევა „ღალატის" სასარგებლოთ არმიაში და ფლოტში. ფიქრობენ, რომ გაგრძელდება დაპატიმრებანი. კემპბელის ბრალდება დამყარებულია მის წერილზე, რომელიც მოთავსებული იყო „უორკერს უიკლი"-ში. „უორკერს უიკლი"-ს რედაქციის ბინა გაჩხრიკეს, წაიღეს ქაღალდები, წიგნები და ხელთნაწერები. კემპბელის წერილის გამო თემთა პალატას კონსერვატორმა დეპუტატმა შეიტანა შეკითხვა, რომელიც შემდეგ უკანვე იქნა წაღებული, ალბად, იმიტომ, რომ მთავრობამ დაამშვიდა კონსერვატორები ყველა სათანადო ზომების მიღების დაპირებით. განცხადებას კემპბელის თავდების ქვეშ განთავისუფლების შესახებ უარით შეხვდენ. კომპარტიამ ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს დეპეშით დაუგზავნა მოწოდება, რომელშიაც მოითხოვს კომპარტიის ფეხზე დაყენებას და მუშების ყურადღების მიქცევას კომპარტიაზე მუშათა მთავრობის თავდასხმისაკენ. სტამბამ, რომელშიაც იბეჭდებოდა „უორკერს უიკლი", უარი სთქვა კომუნისტურ ორგანოს ბეჭდვაზე და გააუქმა ხელშეკრულება.

მელითონეთა შორის

ლონდონი, 1 აგვისტო. მუშა-მელითონეთა წარმომადგენლების თათბირმა დაადგინა მოახდინოს მელითონეთა შორის პლებისციტი გაფიცვის გამოცხადების შესახებ, ვინაიდან მეწარმეებლები უარს ამბობენ ხელფასის კვირაში ერთი სტერლინგით გადიდებაზე.

რა ხდება გერმანიაში

3 ახალი კომუნისტური გაზეთი.

ბერლინი, 6 აგვისტო. დაიწყო გამოსვლა სამი ახალი კომუნისტური გაზეთის: „ობერშლეიზიშე როტე ფანე"-სი, „ლიუბეკერ კომუნისტ"-ის და „პფალცერ არბეიტერ ცეიტუნგ"-ის.

სიმშილობა გამოაცხადა 70 პატიმარმა.

ბერლინი, 6 აგვისტო. პოლიტიკურმა პატიმრებმა, რომლებიც იტანჯებიან გლეივიცის (ზემო სილეზიაში) ციხეში, გამოაცხადეს სიმშილობა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 70 კაცი.

კომუნისტების შეკითხვა რეიხსტაგში.

პარიზი, 7 აგვისტო. კომუნისტებმა შეიტანეს რეიხსტაგში შეკითხვა გერმანიის მთავრობის მიერ უმუშევართა საიდუმლო მობილიზაციის შესახებ „ესპანეთის უცხოელთა ლეგიონში" გასაგზავნად.

განხეთქილება ტევტონურ პარტიაში.

ბერლინი. 5 აგვ. ტევტონური პარტიიდან გასულმა ჯგუფმა დააარსა მანჰეიმში „დამოუკიდებელი ნაციონალ - სოციალისტური მუშათა მოძრაობის პარტია", რომელიც თავის პროგრამაში უარს ამბობს ძალდატანებით გადატრიალებაზე და თავის თავს აცხადებს რესპუბლიკანური ფორმის მომხრეთ.

ფაშისტები „მუშაობენ"

ფაშისტების „დაახლოვება" სოფელთან.

რომი, 5 აგვისტო. კვირას „ვენეციის სასახლეში" გაიხსნა ფაშისტების ნაციონალური საბჭოს სხდომა მუსოლინის, ფაშისტური მინისტრების, პარტიის თანამდებობის პირების, ფაშისტური დეპუტატების, სენატორების რა ადგილობრივი ორგანიზაციების 400 დელეგატის თანადასწრებით. მუსოლინიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განსაკუთრებული სალამით მიმართა სოფლის დელეგატებს; მუსოლინიმ განაცხადა, რომ ფაშიზმი უნდა გახდეს სოფლიური მოვლენათ. შემდეგ, მუსოლინიმ უპასუხა წინადადებას, რომელნიც მოითხოვს პრესის თავისუფლების შემოღებას, და განაცხადა, რომ ეს თავისუფლება იტალიაში უკვე არსებობს და ის განუსაზღვრელია. მუსოლინიმ აღიარა, რომ ზოგიერთ ფაშისტებს შორის შემჩნეულია გულგრილობა ფაშიზმისადმი და მისგან ჩამოშორება. ორატორის სიტყვებით, ფაშიზმმა არ უნდა მიმართოს ძალადობას, რადგან ფაშიზმის ლოზუნგია მშვიდობიანობა, საერთო თანხმობა და „ნორმალური" სახელმწიფოებრივი წესრიგი.

ახალი კანონი ფაშისტური მილიციის შესახებ.

რომი, 5 აგვისტო. იტალიის ოპოზიციონურ წრეებში ფიქრობენ, რომ ფაშისტური მილიციის სახელმწიფოებრივი ხასიათის აღიარება არ სცვლის მდგომარეობას. ახალია მხოლოდ ფიცის მიცემა მეფისთვის. დანარჩენი ყველაფერი ძველებურათ რჩება. მილიცია უშუალოთ ემორჩილება პრემიერ-მინისტრს და ფაშისტური პარტიის მეთაურს, რომელსაც უფლება ეძლევა მოიწვიოს სამსახურში მილიცია. მილიციაში შესვლის მსურველებმა უნდა დაამტკიცონ თავისი კეთილსაიმედობა. საკომანდო შემადგენლობას ირჩევს კომისია, რომელიც შესდგება ორი წარმომადგენელისაგან ფაშისტური მილიციიდან და ერთი წარმომადგენელისაგან არმიიდან. ლიბერალები და ფილო-ფაშისტები აცხადებენ, რომ თუ დანიშნული იქნება მილიციის შესაფერი თავარ-სარდალი, მაშინ ისინი დაკმაყოფილებული იქნებიან ახალი კანონით. ამის საპასუხოთ ოპოზიციონური „ილ მონდო" ფილო-ფაშისტებს ურჩევს ყურადღება მიაქციონ მუსოლინის შემდეგ სიტყვებს: „ფაშისტური მილიცია არა თუ არ არის დაშლილი, არა თუ არ არის შეზღუდული უფლებებში და დამცირებული, არამედ ის უფრო გაძლიერებული და გაუმჯობესებულია. თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე იმას, რომ მილიცია ემორჩილება მთავრობის თავმჯდომარეს, მაშინ იმ დასკვნამდი უნდა მივიდეთ, რომ გადადგმულია დიდი ნაბიჯი სახელმწიფოს ფაშიზმიზაციისაკენ".

ესპანეთის ფაშიზმის კრიზისი

დირექტორიის კრიზისი.

რომი. 7 აგვისტო. პარიზის გაზეთების ცნობით, პრიმო-დე-რივერის მომავალი შეხვედრას მეფე ალფონსთან უდიდესი მნიშვნელობა ექნება ესპანეთის პოლიტიკისათვის. განხილვის საგანი შეხვედრის დროს იქნება უმთავრესად დე-რივერას პოლიტიკა მაროკოში, რომლითაც მეფე ძლიერ უკმაყოფილოა. ესპანეთის ძველი პარტიების ლიდერებს, რომლებიც თავმოყრილი არიან ესპანეთის საზღვრებთან, კავშირი აქვთ მეფის სასახლესთან. როგორც ფიქრობენ, მეფის შეხვედრას დიქტატორთან გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება დირექტორიის არსებობისათვის.

ნაუენი. 7 აგვისტო. პარიზის „ჟურნალ"-ის ცნობით, რომელიც მიღებულია მადრიდიდან, პრიმო დე-რივერას დიქტატურა აღსასრულის წინაშე სდგას. დე-რივერამ თავი დაანება პროვინციაში გამგზავრებას და ბრუნდება მადრიდში.

ბულგარეთის ამბები

ბულგარეთი ჯარებს ადიდებს

ვენა, 5 აგვისტო. ბულგარეთის მთავრობამ არ დაუცადა სოფიაში მყოფ მოკავშირეთა სამხედრო კომისიის გადაწყვეტილებას იმ შუამდგომლობის შესახებ, რომელიც მოითხოვდა ბულგარეთის არმიის გადიდებას 20 დან 26,000-დე, და გაიწვია 3000 სათადარიგო ჯარის კაცი. სამხრეთ-სლავიის გარეშე მინისტრმა ამის გამო საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს. საბერძნეთიც შეუერთდა სამხრეთ-სლავიის პროტესტს.

ცანკოვი პროვოკაციას ეწევა.

ვენა, 6 აგვისტო. როგორც სოფიიდან იტყობინებიან, ცანკოვის მთავრობა ცდილობს გამოიწვიოს ისეთივე აჯანყება, როგორიც მოხდა გასული წლის სექტემბერში, რადგანაც იმედი აქვს, რომ მას ადვილად ჩააქრობს.

პოლიციის წარმომადგენელთა უკანასკნელ კონფერენციაზე სოფიაში იმუშავებდენ სათანადო ზომებს.

სხვა და სხვა ამბები

— **გელლეინი არ დაუპატიმრებიათ.** ბელგიიდან გაძევებული გერმანელი კომუნისტი გელლეინი არ დაუპატიმრებიათ საფრანგეთში. დააპატიმრეს კელნიდან ჩამოსული კომუნისტი კესსელი.

— **პარიზის მუშები აღშფოთებული არიან.** კომუნისტ კესსელის დაპატიმრების გამო პარიზის მუშებში დიდი აღშფოთებაა. კესსელის დაპატიმრების დროს მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. მაშინ დასახმარებლათ გამოიწვიეს ჟანდარმთა რაზმი.

— **ამერიკის ელჩი ლონდონში.** ამერიკის ელჩი გერმანიაში ხუფტონი ლონდონს გაემგზავრა.

— **ბანდიტების დაპატიმრება.** მექსიკიდან მიღებული ცნობებით, პოლიციამ დააპატიმრა ინგლისის ქვეშევრდომ ქალის ევანსის მკვლელები. ბანდიტები დახვრიტეს.

— **ინგლის-ოსმალეთის მოლაპარაკება.** ოსმალეთის რწმუნებულმა ლონდონში წინადადება მიიღო ანგორის მთავრობისგან განაახლოს მოლაპარაკება ინგლისთან მოსულის საკითხის შესახებ.

— **რეაქციონერები ემზადებიან.** თეირანში საალყო წესების გამოცხადების გამო, საალყო წესები შემოიღეს აგრეთვე ისპაგანში, გილიანში და ზოგიერთ სხვა ადგილებში. ირკვევა, რომ რეაქციონური წრეები მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს ამზადებენ მთელ რიგ პროვინციებში.

— **პოლიციის თანამშრომლები.** ამ დღეებში ვარშავის მახლობლათ საავარაკო ადგილში შესდგება თავისუფალ პიონერთა მესამე ყრილობა. პირველ ორ დღეს ყრილობა მიდიოდა პოლონეთის სოციალისტების მზრუნველობის ქვეშ. მაგრამ როდესაც დარწმუნდენ, რომ ყრილობა მეტად რადიკალურათ არის განწყობილი პოლონელმა სოციალისტებმა ჩამოშალეს ის, დაატოვებიეს რა ყრილობა მათ მიმყოლ უმცირესობას. დამახასიათებელია რომ ყრილობის დანარჩენი ნაწილი ამის შემდეგ დაუყონებლივ დაპატიმრებული იქნა პოლიციის მიერ.

— **მაკდონალდი საფრანგეთის ვალების შესახებ.** პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად მაკდონალდი მზადაა გააუქმოს საფრანგეთის ვალების ნაწილი, თუ უკანასკნელი საქმეს გაუადვილებს გერმანიის დელეგაციას ლონდონში გამართულ მოლაპარაკების დროს.

— **ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციების აკრძალვა.** საფრანგეთის პოლიციამ აკრძალა ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, რომელიც 3 აგვისტოს უნდა ყოფილიყო მოწყობილი.

— **დაპატიმრება.** ბულგარეთის ქალაქ შუმლში პოლიციამ დააპატიმრა მრავალი სახელმწიფო მოსამსახურეები. ოფიციალურ ცნობების მიხედვით, დაპატიმრების მიზეზია არალეგალურ კომუნისტურ ორგანიზაციის აღმოჩენა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საფოსტო ოპერაციები ქოხ-სამკითხველოებში.

მოსკოვი, 6 აგვისტო. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა ქოხ-სამკითხველოებში შემოიღო მარტივი საფოსტო ოპერაციები. პირველ ხანებში ცდა მოხდენილი იქნება მოსკოვის და ვორონეჟის სახალხო კავშირის ოლქის ქოხ-სამკითხველოებში.

პირველი ბროშიურა იაკუტურ ენაზე.

იაკუტსკი, 6 აგვისტო. იაკუტსკში გამოვიდა პირველი პოლიტიკური ბროშიურა იაკუტურ ენაზე. ბროშიურაში მოყვანილია ბიოგრაფია და წერილები ლენინზე და ის გავრცელებული იქნება ულუსებს შორის.

მუშკორების ფონდი.

სევასტოპოლი, 7 აგვისტო. სოფლის კორესპონდენტის მალინოვსკის მოკვლის გამო გამართულ კრებაზე მუშკორებმა დაადგინეს სთხოვონ „პრავდას" რედაქციის შექმნას სრულიად საკავშირო დახმარების ფონდი იმ მუშკორებისათვის, რომლებიც დაზარალდენ თავიანთი მოღვაწეობის გამო. გადასწყდა გადაირიცხოს ამ ფონდში 6 თვის განმავლობაში მთელი ჰონორარის 50 პროცენტი.

ბავშთა საერთაშორისო კვირეული

მოსკოვი. 6 ივლისი. ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომმა და რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკამ დაადგინეს 31 აგვისტოდან 6 ენკენისთვემდი საბჭოთა კავშირში ჩაატარონ ბავშვთა საერთაშორისო კვირეული. კვირეული ჩატარებული უნდა იქნეს შემდეგი ლოზუნგების ქვეშ: „ბრძოლა მილიტარიზმისა და ახალი ომების წინააღმდეგ, რომელსაც ამზადებს ბურჟუაზია", „ბრძოლა პროლეტარული ორგანიზაციების გამტკიცებისა და მასების დაპყრობისათვის".

უკრაინა

პურის საქმე უკრაინაში.

ხარკოვი, 6 აგვისტო. უკრაინის ეკონომიური საბჭოს სხდომაზე შინავაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. გენკინმა განაცხადა, რომ ივლისის მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა პურის ფასების აწევის ტენდენციას. ამ ხნის განმავლობაში ხორბლის საშუალო ფასი მოდიოდა 8 კაპეიკით ფუთზე, ჭვავის—2 კაპეიკით, ქერის—4 კაპეიკით.

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა და გერმანიის მოლაპარაკება

კონფერენცია გაგრძელდება

ბერლინი. 7 აგვისტო. ლონდონის [illegible] მიაჩნიათ კონფერენციის დამთავრება [illegible] საკითხების გამო, რომლებიც ახლად წამოაყენა გერმანიის დელეგაციამ.

საიდუმლო მემორანდუმი

ბერლინი, 7 აგვისტო. გერმანიის კანცლერმა მარქსმა გუშინ 14-თა საბჭოში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოკლეთ მოიყვანა შინაარსი გერმანიის საკმაოდ ვრცელი მემორანდუმის, რომელიც საიდუმლო ხასიათს ატარებს. გუშინ გვიან ღამით მაკდონალდის კაბინეტში შესდგა თოთხმეტთა საბჭოს ახალი სხდომა.

„მოღალატე" ტენისი

პარიზი. 7 აგვისტო. „მატენი" უკმაყოფილებას გამოსთქვამს მოკავშირეთა კონფერენციაზე ბელგიის პრემიერის მოქმედების გამო და ბრალსდებს მას საფრანგეთის პოლიტიკისადმი ღალატში.

ფრანკმასონები.

ბერლინი, 7 აგვისტო. საფრანგეთის პარლამენტში დაარსდა ფრანკმასონების ჯგუფი, რომელშიაც შევიდენ სხვადასხვა პარტიების წევრები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

ბრინჯაოს საუკუნის არქეოლოგიური ნაშთები

ერევანი. 6 აგვისტო. სომხეთის სიძველეთა დაცვის კომიტეტმა მიიღო ლორი ბამბაკის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მამიკონიანისაგან ბრინჯაოს საუკუნის მთელი რიგი არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც აღმოჩენილ იქნა კარაკლისში ჰიდროსადგურის აშენების დროს.

შეუდგენ მუშაობას

ერევანი. 6 აგვისტო. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „ზანგა" შეუდგა ერევანში სასოფლო-სამეურნეო იარაღების, მანქანების და სამკურნალო თესლების გაყიდვას. სომხეთის დამხმარე კომიტეტმა დაუთმო ამხანაგობას 5,000 მანეთად ღირებული საქონელი; ამხანაგობას დახმარება გაუწია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ.

სეტყვა

ერევანი. 6 აგვისტო. ლორი-ბამბაკის მაზრაში მოვიდა ქათმის კვერცხის ოდენა სეტყვა. განადგურებულია 9 სოფლის ნათესები; გრიგალმა სახურავები გადააძრო სახლებს, დაზიანებულია ხეხილები. ზარალი დიდია. განსაკუთრებით დაზარალებულია გერგერი და გოპარტინი.

ჰაეროპლანი „ხორურდაინ აიასტანი".

ერევანი. 7 აგვისტო. 15 სექტემბერს მზად იქნება ჰაეროპლანი „ხორურდაინ აიასტანი". გრძელდება ჩაწერა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში.

ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების კონფერენცია

მესამე დღე

ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების საქალაქო საბჭოს მოქმედება

(მომხსენებელი ამხ. რახმანი)

მომხსენებელი შესავალში აცნობს კონფერენციის კომუნისტური ჯგუფების მდგომარეობას ქალაქში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მე-6 ყრილობამდე და მას შემდეგ. ბავშვთა კომუნისტური ჯგუფები, რომელნიც ერთი წლის წინა „სპარტაკის" სახელწოდებას ატარებდნენ, აღმოცენდენ ყოფილ სასპორტო საზოგადოება „შევარდენის" ნანგრევებზე.

ბავშვთა ახალ სასპორტო ორგანიზაციებს მეტად მძიმე პირობებში მოუხდათ მუშაობა. მთავარი დაბრკოლება ის იყო, რომ მათ ძველი დაწესებული სასპორტო ორგანიზაციის ხელმძღვანელები არ გამოადგებოდათ, ხოლო ახალი,—ახალ ორგანიზაციებთან ლოიალურად განწყობილი ინსტრუქტორები ძნელი საშოვი იყვნენ. გარდა ამისა ახალი სასპორტო ორგანიზაციების მიზნები და დანიშნულებანი არსებითად განსხვავდებოდენ ძველიდან, რადგან მათ მეცადინეობის გეგმაში წმინდა სპორტული მეცადინეობის გარდა შედიოდა სოციალური აღმზრდელობითი მუშაობაც. ახ. კომ. კავშირის მე-6 ყრილობის შემდეგ ბავ. კომუნისტური ჯგუფების მუშაობა ერთი ორად გაცხოველდა. მოხდა აქტივისტ-კომკავშირელთა მობილიზაცია ახალ-ახალი კომუნისტური ჯგუფების საორგანიზაციოდ და გასაფართოებლად. ორგანიზაციათა რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა რიცხვობრივი გადიდება ხდებოდა უმთავრესად მუშათა შვილების კოლექტივების გარშემო შემოკრებით. ჯგუფები ეწყობოდა წარმოებითი პრინციპის მიხედვით. სკოლებშიდაც სწარმოებდა მუშაობა ერთი წლის განმავლობაში წევრთა რაოდენობა გაორკეცდა.

სულ ქალაქსა და მაზრაში ბავშვთა კომუნისტური ჯგუფები აერთიანებენ 4955 წევრს. ამ რიცხვიდან 3260 ვაჟია, ხოლო ქალი—1695, სოციალურ მდგომარეობის მიხედვით—მუშის შვილები არიან 3652, (737 პროც.), გლეხის—631 (12,74 პროც.) და არა მუშის შვილები 672 (13,52 პროც.). ეროვნების მიხედვით,—ქართველი ბავშვების რიცხვი უდრის—1584 (32 პროც.), სომეხი ბავშვები—1606 (32,41 პროც.), რუსი ბავშვები—1064 (21,47 პროც.), მუსულმანი ბავშვები—275 (5,57 პროც.), სხვა ეროვნებათა ბავშვები—426 (8,59 პროც.), კოლლექტივების ინსტრუქტორთა საერთო რიცხვი უდრის—133.

ასაკის მიხედვით ბავშვთა ჯგუფებში სჭარბობენ 12—14 წლისანი—2,805 (56,60 პროც.) შემდეგ 9 წლიდან—11 წლამდე (22 პროც.) და ა. შ.

ქ. კოლლექტივებს აქვთ სულ 51 სასპორტო კლუბი. საბჭომ მოაწყო საანგარიშო პერიოდში ყველა რაიონებში 29 საუბარი, ექვსი სარაიონო ექსკურსია. სულ ქალაქში ითვლება 190 წრე.

აქედან დრამატიული წრე—38, მომღერალთა—31, მეგაზეთეთა—52, მემუსიკეთა—3, კოლლექტიური 12 და სხვა და სხვა ხასიათის წრე 40.

მოხსენების შემდეგ სხდომა შეწყდა. კამათი გადაიდო საღამოს სხდომისთვის.

კოოპერაცია

წარმოკავშირის მუშაობა მაის-ივნისში

(გაგრძელება*)

დამზადება და გასაღება.

ხილის ოპერაციებიდან აღსანიშნავია შემოდგომის ოპერაციის დათავება და ანგარიშების გასწორება, რომელმაც წარმოკავშირს 11.000 მან. წმინდა მოგება მისცა. მაისის და ივნისის განმავლობაში წარმოკავშირი „ქართლი"-ს საშუალებით აწარმოებდა დასავლეთ საქართველოში საადრიო ხილის, ბალის, მარწყვის, ალუჩის, ატმის და ბოსტნეულის დამზადებას, რომელიც საღდებოდა როგორც ადგილობრივ, ისე მოსკოვის ბაზარზე. ამავე თვეებში რუსეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან „სელსოიუზ"-თან დამზადებაზე, რომლის ანგარიშში წარმოკავშირი წინასწარ იღებს ავანსებს ტარის და ხილის შესაძენად. ამ ოპერაციის წესიერი ჩატარებისათვის წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია.

იმავე „სელსოიუზ"-თან დადებულია ხელშეკრულება 70 ვაგონი საექსპორტო კვერცხის დასამზადებლად, რომლიდან 25—30 ვაგონი საზღვარ-გარეთ წავა. უკვე დაკვეთილია ყუთები, ბურბუშელა და სხვა.

ივნისში დაიწყო ღვინის ჩაბარება და გაგზავნა ვინსინდიკატის ხელშეკრულების ანგარიშში, უკვე გაიგზავნა 15.000 ვედრომდე და მიმდინარე თვეებში ჩაბარდება 115.000 ვედრო ღვინო.

ღვინის გასაღების გაფართოებისათვის წარმოკავშირი აწყობს მოსკოვში და ლენინგრადში საბითუმო და ბოთლობით ვაჭრობას და განზრახულია პირველ წელიწადს 100.000 ვ., მეორე წელიწადს 150.000 ვედ. და მესამე—200.000 ვედრო ღვინის გასაღება გარდა იმ ღვინოებისა, რომელიც „სელსოიუზ"-ს და „ვინსინდიკატ"-ს ცალკე მიეყიდება დაახლოვებით 150.000 ვ. წელიწადში.

გარდა ამისა, უკვე მოწყობილია და დაიწყო მუშაობა წარმოკავშირის საალაფო მაღაზიამ, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლიდან ჩამოსულ გლეხობას შეიძინოს თავის საჭიროებისათვის ხელსაყრელ პირობებში ხორბლეულობა, მარილი და სხვა საჭირო საქონელი და, მეორე მხრივ, კარგ ფასებში გაჰყიდოს სოფლიდან ჩამოტანილი ნაწარმოები და თავიდან აიცილოს კერძო მოვაჭრეები.

სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მასალის მიწოდება.

მაისში და ივნისში წარმოკავშირი განაგრძობდა ფინანსიურ შესაძლებლობის მიხედვით სოფლის მეურნეობაში იარაღების და მასალის დამზადებას პირველი საფეხურის ამხანაგობათა წევრებისათვის. სულ ამ ორ თვეში იყო დამზადებული 250.000 მან. საქონელი, ამავე დროს წევრთა შორის განაწილდა 300.000 მან. საქონელი.

კოოპერატიული დაზღვევა.

წარმოკავშირს აქვს მიღებული რუსეთის კოოპერატიული დამზღვევი კავშირისაგან რწმუნება კოოპერატიული ქონების და საქონლის დასაზღვევად ცეცხლისაგან და სახელმწიფო დაზღვევისაგან ნათესების და მცენარეთა დასაზღვევათ სეტყვისაგან. აქედან ქონება და საქონელი დაზღვეულია 2.014,757 მან. ღირებულებისა, რაშიაც მიღებულია 13,142

---

*) იხ. „კომუნისტი" № 176.

ხალხის ჯალათის ვ. ჯუღელის დაჭერა ბანდიტების დაპატიმრება

1) 24 ივლისს საღამოთი საქართველოს საგანგებო კომისიამ დააპატიმრა საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტულ კომიტეტთან არსებული ტერორისტული ჯგუფის თავმჯდომარე, მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტი მიხეილ კოდუაშვილი, რომელმაც რამდენიმე ტერორისტული აქტი შეასრულა არალეგალურ ცენტრ. კომიტეტის დავალებით.

დაპატიმრების დროს მან შეიარაღებული წინააღმდეგობა გასწია და სროლის დროს დაჭრილ იქნა.

2) 3 აგვისტოს აფხაზეთის საბჭოთა სოც. რესპუბლიკის სამურზაყანოს მაზრაში დატუსაღებული იქნა ნოჩო მიქელაძე, პარიტეტულ კომიტეტის რწმუნებული სამხედრო ორგანიზაციაში. მასთან ერთად იქნა დაპატიმრებული პოლიტიკური ბანდიტი მურზა—ვალიკო ჯუღელის თანამებრძოლი.

3) 6 აგვისტოს თბილისში, საღამოს 10 საათზე და 35 წ., დაპატიმრებული იქნა, საზღვარ-გარეთიდან არალეგალურად ჩამოსული, სახალხო გვარდიის შტაბის ყოფ. თავმჯდომარე და მენშევიკური პარტიის ც. კ. წევრი, მთელს საქართველოში ცნობილი ბანდიტი, ოსეთის და აფხაზეთის გამანადგურებელი ვალიკო ჯუღელი, რომელმაც სისხლით მორწყო დუშეთის და სხვა მაზრები, რომელიც ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა ანგარიშს მენშევიკური ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს და ახლა ჩამოვიდა საქართველოში მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მიმართული საძაგელი ავანტიურისტული ზრახვების განსახორციელებლად. უკანასკნელ ხანებში ვალიკო ჯუღელი ოფიცრად იმყოფებოდა საფრანგეთის ჯარში.



ვალიკო ჯუღელი

დაპატიმრების დროს მას ჯიბეში აღმოაჩნდა ორი რევოლვერი ვაზნებით.

საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგია.

მან. დაზღვევის პრემია, დაზღვეული ნათესების სივრცე კი 3.600 დეს. უდრის, რაშიაც მიღებულია 31.206 მან. პრემია.

ფინანსიური მდგომარეობა.

წარმოკავშირის ფინანსიური მდგომარეობა ჯერჯერობით ვერ არის დამაკმაყოფილებელი. თავისი ოპერაციებისათვის წარმოკავშირი უმთავრესად გარედან მიღებული თანხებით სარგებლობს, რომელიც მისი საერთო ბრუნვის 70—80 პროც. შეადგენს. წარმოკავშირს აქვს გაცემული ოპერაციებისათვის 1.657,149 მ. 35 კ., აქედან სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების ავანსები და სპეციალური კრედიტები 916.313 მ. შეადგენენ, 408,000 მან. ბანკის საერთო ხასიათის კრედიტებს და დანარჩენი გაცემულია საკუთარი თანხებიდან ან სხვა საშუალებებიდან. მოკავშირე ორგანიზაციების დავალიანება წარმოკავშირთან 886,149 მ. შეადგენს და სხვა დაწესებულებებისა 230,488 მან. სულ—1.116,637 მან. ამავე დროს წარმოკავშირის დავალიანება სხვა ორგანიზაციებთან უდრის 900,000 მან.

ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კონფერენცია

7 აგვისტოს დილის სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. ზარაფიანი

დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები: 1) კომისიებში გამომუშავებულ რეზოლიუციების მიღება წინა სხდომებზე წაკითხულ მოხსენების გამო, 2) ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები და კავშირის წესდების დამტკიცება და 3) სამანდატო კომისიის მოხსენება.

რეზოლიუცია ა. კავკასიის კოოპერატიული ცენტრის შესახებ

რეზოლიუცია ამხ. პიჩიკიანის მოხსენების გამო აღნიშნავს, რომ, მიუხედავათ ეკონომიურ პირობების სხვადასხვაობისა ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში, ამიერ-კავკასია წარმოადგენს მთლიან ეკონომიურსა და პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც კოოპერაციის დარგშიაც მოითხოვს გაერთიანებას ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირის სახით. ამ კავშირს, რომელიც დაიჭერს „ცენტროსოიუზ“-ის ამ.-კავ. განყოფილების ადგილს, ევალება ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ მოძრაობის იდეური და ოპერატიული ხელმძღვანელობა და საერთო წარმომადგენლობა რუსეთში

ა. კავკასიის კოოპ. კავშირის წესდება

შემდეგ რეზოლიუციაში კონფერენცია ამტკიცებს ახალ კავშირის წესდებას, რომლის თანახმად კავშირის ორგანიზაციულ საფუძველს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის კოოპერატივების რწმუნებულთა კრება. უკანასკნელს ექვემდებარება საბჭო ზოგადი მეთვალყურეობისა და კონტროლის ფუნქციებით და მისი აღმასრულებელი ორგანო—გამგეობა. კავშირი წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, რომელსაც ენიჭება უფლებები: გახსნას თავისი კანტორები და სააგენტოები ამიერ-კავკასიის ტერიტორიის გარეშე და ზოგიერთ მონაპირე პუნქტებში, მიიღოს და გასცეს კრედიტები და თამასუქები, გახსნას თავისი დამზღვევი სააგენტოები და სხვა. წესდებაში აღნიშნულია კოოპერატივთა წარმომადგენლობის ნორმა. რუსეთის „ცენტროსოიუზ“-ის ამ.— კავ. განყოფილება უქმდება და წმინდა მოგება, რომელიც მას მიღებული აქვს ამიერ-კავკასიაში ნაწარმოებ ოპერაციებიდან, ჩაირიცხება ახლათ დაარსებულ კავშირის ძირითად კაპიტალში.

ამასთანავე კონფერენციას გამოაქვს დადგენილება „ცენტროსოიუზ“-ში სრულუფლებიან წევრათ უშუალოთ შესვლის შესახებ.

რეზოლიუცია შინა-ვაჭრობის შესახებ

რეზოლიუცია შინა-ვაჭრობის შესახებ მიუთითებს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ფართო მოხმარების პროდუქტებზე ფასების რეგულიაციის საჭიროებაზე, რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო ცენტრებიდან ამიერ-კავკასიისათვის საქონლის მიწოდების გაძლიერებაზე და ავალებს მას რუსეთის ტრესტ-სინდიკატების ადგილობრივ განყოფილებათა ლიკვიდაციის და მათი საწარმომადგენლო ფუნქციების გადაცემას ახლათ დაარსებულ კავშირისათვის.

საკავშირო კოოპ. ბანკის მოქმედების შესახებ

საკავშირო კოოპერატიულ ბანკის ამ.-კავ. განყოფილების მუშაობას კონფერენცია სთვლის დამაკმაყოფილებლათ და აღნიშნავს შემდეგი ზომების საჭიროებას: ყველა კოოპერატივების ჩაბმას ბანკის მუშაობაში, გასესხების ვადის გაგრძელებას, საკორესპონდენციო კავშირის გაძლიერებას შორეულ პერიფერიის ორგანიზაციებთან, კოოპერატივთა საანგარიშო საქმის მოწესრიგებას საერთო და ყველასათვის სავალდებულო წესით და ბანკთან შეთანხმებით, რათა ადვილათ გასაცნობი იქნეს ამა თუ იმ ორგანიზაციის ნივთიერი მდგომარეობა და სხვა.

სამანდატო კომისიის მოხსენება

შემდეგ კონფერენცია ისმენს სამანდატო კომისიის მოხსენებას: უნდა გამოცხადებულიყვნენ 39 დელეგატი, გამოცხადდა 37. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ 8 დელეგატი სათათბირო ხმით. 5 დელეგატს ანკეტები არ წარმოუდგენიათ.

საბჭოს და გამგეობის არჩევნები

გამგეობაში არჩეული არიან: თავმჯდომარეთ—ამხ. ბალტინი და წევრებათ—პიჩიკიანი, ერისთავი, იმანოვი და ერქომაიშვილი.

საბჭო შესდგება 21 წევრისა და 3 კან-გან. წევრები; ელერდოვი, ცაგარელი, კრუსელი, ვარშანიანი, ფარაჯი-ზადე, ტაიროვი, ორდუბატსკი, აჯამოვი, ნიკურაძე, აკიმოვი, ბანნიკოვი, პრეობრაჟენსკი, შეხტენი, სემკოვი, ტატარინი, ნიკიტინი, ძლაპია, დასტანიანი, ზარაფიანი, სუხარევა და მიაჩინი. საბჭოს თავმჯდომარე—ფარაჯი-ზადე.

სარევიზიო კომისიაში შევიდნენ ენჩარსკი, უსუპოვი, შახნაზაროვი, პოკოევი და ცაგაევი.

ამით დამთავრდა კონფერენციის მუშაობა. კონფერენციის დახურვისას თავმჯდომარე ზარაფიანმა მოკლე სიტყვაში აღნიშნა კონფერენციის შედეგები და უსურვა ახალ კავშირს ნაყოფიერი მუშაობა ამხ. ლენინის ანდერძის თანახმად.

„ცენტროსოიუზ“-ის ა. ქ. განყოფილების ლიკვიდაცია

კონფერენციის დამთავრების შემდეგ იმართება თათბირი „ცენტროსოიუზ“-ის ამ.-კავ. განყოფილების ლიკვიდაციის და მისი მოგების განაწილების შესახებ.

თათბირის პრეზიდიუმში არჩეული არიან იგივე პირები, რომლებიც შეადგენენ კონფერენციის პრეზიდიუმს. კომისიამ მოისმინა ამხ. ბალტინის მოხსენება ამ.-კავ. ძველი კოოპერატიულ კავშირის მუშაობის შესახებ. კავშირი არსებობდა სამ თვეს და ძირითად და საბრუნავ კაპიტალის სიმცირის გამო იძულებული იყო შეერთებოდა უფრო მძლავრ ორგანიზაციას—„ცენტროსოიუზ“-ის ტფილისის კანტორას, რომელსაც ამ გაერთიანების შემდეგ დაერქვა „ცენტროსოიუზ“-ის ამიერ-კავკასიის განყოფილება. განყოფილებას ჰქონდა 450 ათასი მანეთის ძირითადი კაპიტალი, რომელსაც მოემატა კავშირის ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი (სულ დაახლოვებით 50 ათასი მანეთი). განყოფილებას ჰქონდა თავისი კანტორები ბათომში, სოხუმში, განჯაში და თავრიზში, მრავალრიცხოვანი შტატი, (ტფილისის მთავარ კანტორაში და სხვა ქალაქებში—200-ზე მეტი კაცი), ფართო ნდობა ბანკებში და დიდი კომერციული ბრუნვა. მაგრამ განყოფილებას, ადგილობრივ კოოპერაციის ინტერესების თვალსაზრისით, თანდაყოლილი ჰქონდა ორი დიდი ნაკლი. პირველ ყოვლისა იგი იყო მოსკოვის ცენტრის ფილიალი, მეორეც—ის, რომ იგი წარმოადგენდა უფრო „სავაჭრო სახლს“, კომერციულ დაწესებულებას, ვიდრე კოოპერატიულ ცენტრს. ამ განყოფილების პრაქტიკაში რამოდენიმეჯერ იყო შემთხვევა (ან „ცოდვა“,—როგორც მომხსენებელმა განაცხადა), რომ განყოფილება იძენდა საქონელს კერძო პირთა საშუალებით. ამ მავნე ტენდენციის გასაქარწყლებლათ ეხლახან დამთავრებულმა კონფერენციამ დააარსა ამ. კავ. კოოპერატიული ცენტრი. შემდეგ მომხსენებელი აქვეყნებს განყოფილების ბალანსს და ცნობებს განყოფილების მოგების შესახებ, რომელიც გადადის ახალი ცენტრის ფონდში.

განყოფილების სალიკვიდაციო არჩეულია კომისია ამხ. ამხ. ბალტინის, პიჩიკიანის და ბოკოვის შემადგენლობით.

ამხ. ბალტინის მიერ წაკითხულ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კომისიის სხდომა იხურება.

სასოფლო მეურნეობა

მეაბრეშუმეობის სეზონი 1294 წელში

1924 წლის აბრეშუმის სეზონისათვის, როგორც წინა წერილში ვქონდა მოხსენებული, მთელ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში განაწილდა 10151 კოლოფი აბრეშუმის თესლი. ვარაუდით საშუალო მოსავალი უნდა მიგვეღო ამ დარიგებულ რაოდენობიდან 150000 ფუთი ნედლი აბრეშუმის პარკი.

ჭიის გამოყვანის დროიდან, ვიდრე ბოლო დრომდე ჭიის მოვლა-კვებას კარგი ამინდები ქონდა და მოსავალსაც კარგი პირი უჩანდა, მაგრამ სამწუხაროთ ბოლო ხანებში და სწორეთ პარკის გაკეთების დროს ძალიან სიცხეები დაიჭირა და პარკის მოსავალი ძალზე დაზიანდა. მოსავალმა 30—35 პროცენტით მაინც დაიკლო. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ, მიუხედავათ რჩევა დარიგებისა, ზოგმა არა კეთილ სინდისიერმა მეაბრეშუმემ იხარბა და სხვადასხვა საშვალებით ბევრი თესლი აიღო.

ამის გამო მას საკვები ფურცელი არ ეყო და იძულებული შეიქნა უცხოს ფურცელი ეყიდა. ხშირათ სხვასთანა მეაბრეშუმე ფურცელსაც ვერ მოულობდა და ჭია რამოდენიმე ხანი უჭმელი ყავდა, ან და თუ აჭმევდა ისე მცირეს, რომ ჭია ნახევრათ მშიერი რჩებოდა. ამასთანავე ფურცელი მოჰქონდა 15—20 ვერსის სიშორიდან, გზაში ის იმტვრეოდა, ჭკნებოდა და ხურდებოდა. რასაკვირველია ასე გამოკვებილი ჭია სათანადოთ ვერ იხეირებდა, მას ემართებოდა სხვადასხვა სენი, (ფლაშერი, მუსკარდინა, სისუქნე), ამას თან დაერთო უზომო სიცხეები და ჭიამ პარკი ან სულ ვერ გააკეთა და თუ გააკეთა ძალიან სუსტი და უხეირო.

ბევრ მეაბრეშუმეს ყავდა ოჯახში ადგილობრივი ორ მოსავლიანი, უმეტეს შემთხვევაში დასნეულებული ჭია, საიდანაც სენი გადადიოდა ევროპიულ ჭიებზე და ისინი იღუპებოდენ. აქვე უნდა ითქვას, რომ წელს გვალვის გამო თუთის ფურცელი არ იყო ნოყიერი და თან ფურცელი ვერ გაიზარდა და თან შეიხრუკა კიდეც. ამას უნდა დაერთოს ისიც, რომ მეაბრეშუმეთ საინსტრუქტორო დახმარების მხრით ნაკლები ხელმძღვანელობა ქონდათ. ყველა ამ მიზეზების გამო წელს აბრეშუმის პარკი იმდენი არ მოვიდა, რამდენის იმედიც თესლის დარიგების დროს გვქონდა.

მიუხედავათ ამისა 1924 წლის სეზონისათვის ნედლი პარკი მაინც დაგროვდა კოოპერატივების ხელში ცეკავშირის ხელმძღვანელობით დაახლოვებით 83 ათას ფუთამდე იმის გარდა, რაც მეაბრეშუმეებმა დაიტოვეს სახლში თავიანთ საჭიროებისათვის.

ზოგიერთი მეაბრეშუმენი ჭიის გაფუჭებას აბრალებენ თესლის უვარგისობას, მაგრამ ჩემის ღრმა რწმენით ეს არ შეეფერება სიმართლეს, რადგან თესლი წელს გამოკვლევის მხრით კარგი ხარისხის და კარგი ჯიშებისაც იყო შეძენილი. ნაკლი უნდა დაედვას ადგილობრივათ დამზადებულ თესლს იმაში, რომ არეული აღმოჩნდა თეთრი და ყვითელი ჯიშები ერთი მეორეში და შეხვეულიც არ იყო სათანადოთ. მომავლისათვის ურჩევთ ჩვენ მეთესლეებს, რომ უფრო რიგიანათ მოეპყრან ამ დიდ და ფრიად მნიშვნელოვან დარგს.

ამ სეზონისათვის საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირს „ცეკავშირს“ თავის მოკავშირე კოოპერატივების საშუალებით მთელ საქართველოში აქვს 46 აბრეშუმის პარკის დასაგროვებელი პუნქტი და ორი კი აფხაზეთში. შარშანდელზე შედარებით კი ორჯერ მეტი. პარკის საკლავ-საშრობი ფარდულები კი სულ ყველგან ირიცხება 65 და ორი მექანიკური პარკის საშრობი ქ. სამტრედიაში. ყველა ამ საშრობ ფარდულებს აქვს თავისი საყოფი თაროებზე საგები და საფარდე ჭილობები, ფარდულების, ტილოების და სხვა საჭირო ინვენტარის მხრით „ცეკავშირი“ ამ სეზონისათვის უზრუნველყოფილია.

აბრეშუმის პარკის დაგროვება დაიწყო 15 ივნისს და დამთავრდა 5—8 ივლისს. პარკი უმთავრეს მიმღებ პუნქტებში დიდძალი მოდიოდა და რომ მეაბრეშუმენი დიდხანს არ გაეჩერებიათ, მიმღები პუნქტები ხშირათ სდგამდენ ორ სამ სასწორს, რის გამოც მეაბრეშუმეთ დიდხანს ცდა არ უხდებოდათ.

აბრეშუმის პარკის ჭიის მოკვლის და პარკის გახმობის მიზანი ისაა, რომ პირველი პარკიდან ჭია პეპლათ არ გამოვიდეს და ამ რიგათ არ დახვრიტოს და არ გააფუჭოს აბრეშუმის პარკი; მეორე, ხმობაში პარკს ძლიერ აკლდება სიმძიმე, ადვილათ გადასატანია და არც ისე სათუთია, როგორც ნედლი. დაახლოვებით სამი გირვანქა ნედლი პარკი იძლევა ერთ გირვანქა ხმელ პარკს. ოთხი გირვანქა ხმელი პარკი კი იძლევა ერთ გირვანქა ძაფს და ერთ მეოთხედ გირვანქა ყაჭს.

პარკის მიღება და მერე მისი გადამუშავება და გაშრობა დიდ ენერგიას თხოულობს. ვისაც არ უნახავს, მისთვის წარმოუდგენელია, ზაფხულში ამ ცეცხლიან და ორთქლიან შენობებში, როგორ იწვის და იხარშება თანამშრომლები. აქ თქვენ ხედავთ მრავალ მუშა ქალთა ფუსფუსს, რომელნიც არჩევენ პარკს, აწყობენ ჩაფრებზე, ამზადებენ ღუმელში შესაწყობათ, აქვთ ზევით თაროებზე უკვე გამოხარშული პარკი და სხვა. ამნაირი მუშაობა გრძელდება ერთი თვე და მერე კი იწყება უფრო ნელი და დაკვირვებული სამუშევარი ეგრეთწოდებული პარკის დახარისხება და შრობა.

მეაბრეშუმენი ისე შეეჩვიენ და ისე ნდობას უცხადებენ ამ ოპერაციების მესვეურთა, რომ პარკის მიღების დროს არც კი კითხულობენ, რა მიეცემათ მათ მიტანილ პარკში, მხოლოთ ჩაბარების შემდეგ იღებენ ქვითარს და ისე მიეშურებიან თავიანთ სახლში. ზემოხსენებული ნდობის გასამართლებლად იმედია „ცეკავშირი“ ეცდება, რომ რაც შეიძლება მეტი თანხა უწოვოს ავანსათ მეაბრეშუმეთ, რომ ამით ნდობა გამართლდეს უწყებისადმი და ბოროტ ენებს საბაბი არ მიეცეს თავისი განზრახვების განხორციელებისათვის; მასთან მეაბრეშუმენიც კმაყოფილი გვყავდეს, რომ მომავლისათვის მეურნეობის ამ დარგს უფრო ხალისიანათ და ენერგიულათ მოკიდონ ხელი.

ქ. კაკაბაძე.

ტყის საქმის გასაუმჯობესებლად

უკანასკნელ დრომდე საქართველოს სატყეო მეურნეობა მოუწესრიგებელი და თითქოს ქაოტიურ მდგომარეობაში იყო. მთავარი მიზეზი ამ მოვლენის ის იყო, რომ ცენტრს არ ჰქონია მოწყობილი ხელმძღვანელი საქმის მცოდნე აპარატი; ხოლო ადგილებზე კი უმთავრესად მუშაობდენ არა სპეციალისტები—შემთხვევითი მუშაკები.

ტყის დაცვისათვის.

ტყის დაცვისათვის დღემდე არსებული შტატს ძალა არ შესწევს აუვიდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას იმ მიზეზის გამო, რომ მიწის რეფორმის ჩატარების შემდეგ სახელმწიფო ტყეებს მოემატა კერძო მესაკუთრეთა ტყეები, რამაც ტყის რაოდენობა თითქმის ორჯერ გაადიდა, ხოლო ტყის დამცველთა შტატი კი ორჯერ შემცირდა.

ასე რომ ტყის ყოველ დარაჯს დღეს უხდება 5—6 ათასი დესეტინა ტყის მეთვალყურეობა, ხოლო მშვიდობიანობის დროს თვითეულ დარაჯზე ითვლებოდა ნორმად არა უმეტესს 2—2 ნახ. დესეტინისა.

დღემდე არ არსებობს სატყეო მეურნეობის გამომუშავებულ ფორმები, არ არის ტყის გაჩეხის სისტემა, და არც ტყით აღსადგენი საშვალებანი. ყველა ამ გარემოებამ გამოიწვია მასიური განადგურება ტყეების, რომლის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნურ გზით.

ახალი ორგანო და შტატი.

ამჟამად ცენტრში მიწად. მოქ. სახ. კომთან ეწყობა ავტორიტეტული ორგანო, რომლის დანიშნულებაც იქნება: ა) ტყეების მოწყობა და სტატისტიკა, ბ) ტყეების კულტურულ-საცდელი სანერგეების მოწყობა, გ) ტყეების ექსპლოატაცია და დაცვა.

ამ დაწესებულებას სათავეში ჩაუდგება ტყეების ინსპექტორი, რომელსაც უნდა ექნეს მეცნიერული მომზადება მეტყეობაში და რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა სატყეო მეურნეობისათვის. გარდა ამ ზომებისა, გაცემულია აგრეთვე განკარგულება სასტიკ პასუხისგებაში იყვნენ მიცემული ტყის განადგურებაში შემჩნეული პირები.

ტყის მცველთა ხელფასი

დღემდე მეტად უმნიშვნელო ხელფასი იყო დაწესებული ტყისმცველთათვის, რომელნიც ხშირად სტოვებდენ სამსახურს და მიდიოდენ სხვა რესპუბლიკებში. ამიერიდან მეტყევეთ და მის თანაშემწეთ ენიშნებათ პერსონალური ჯამაგირები, ხოლო ტყის მცველთა ხელფასი გაუთანასწორდება მილიციის მუშაკთა ხელფასს. ამავე დროს შემოღებულია ადგილებზე ტყის მუშაკთათვის ახალი სატარიფო ქსელი 6 მან. 50 კაპ. მინიმუმით და 1—8-თან შეფარდებით. ამ ტარიფით ერთი ორად დიდდება ადგილების მუშაკთა ხელფასი.

ბორჯომის ტყეები

ბორჯომის ხეობის ზერელე მოხილვაც დაგარწმუნებთ, რომ აქ ყოველ კუთხეს, ყოველ უბანს აქვს თავისი განსაკუთრებული სილამაზე და მიმზიდველობა; საერთოთ კი იგი გარსშემორტყმულია ბუმბერაზი მწვერვალებით; ლომის მთა, ცხრა-წყარო, სანისლო, ქარტა და სხვ. რომლებიც თითქოს მის საოცარ სიმშვენიერეს კუშაგობენ.

საკვირველია ამ ბუნების ასეთი წარმტაცი სილამაზის მხოლოდ მზერა. რომ სულით და ხორცით დაძაბუნებულ-დაავადებულმა ადამიანმა იგრძნოს შვება და იმედი სრული განკურნებისა.

ამ ბუნების გვირგვინი ბორჯომის ტყეებია.

ესენი ჰქმნიან ამ ხეობის ასეთ სახეს და იცავენ მის ბუნებრივ სიმდიდრეს — სახელგანთქმულ მინერალურ წყლებს.

ბორჯომის ხეობა თავისი შეხედულებით, ბუნებრივი სიმდიდრით, მდებარეობით, გზებით და წყლებით საქართველოს ძვირფასი თვალია, მისი ფასდაუდებელი საუნჯე და სიამაყეა, ამიტომ ყოველი მოქალაქის მოვალეა იზრუნოს მასზე და გაუფრთხილდეს მას, როგორც თავის თვალის ჩინს.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ მტრულად შეახო მას ხელი უგნურმა ადამიანმა და ბევრი ასეთი სიტურფით შემკული კუთხე გაჰკაფა და გაანადგურა ახლო წარსულში.

ბორჯომის მამული როგორც გემრიელი ლუკმა, ერთ დაწესებულებიდაგან მეორეზე ხელიდგან-ხელში გადადიოდა, ყველა მას ვაჭრულის თვალით უყურებდა და ამ ტყეების ძვირფასი მერქნით დაინტერესებულნი მეუფერებელ ექსპლოატაციას აწარმოებდენ.

1923 წ. როდესაც ბორჯომ-აბასთუმნის ტყეები საკურორტო მნიშვნელობის ტყეებათ იქნა აღიარებული და მათი მოვლა და გამგებლობა დაეკისრა ჯანმრთელობის კომისარიატის მთავარ საკურორტო სამართველოს, როგორც ამისთანა ტყეების ბუნებრივ პატრონს, ბორჯომის ტყეების დაცვა და მოვლა საიმედო საფუძველზე დადგა.

საკურორტო სამართველომ უპირველეს ყოვლისა ამ მამულის სათანადოთ მოვლა-გამგებლობისათვის შეიმუშავა განსაკუთრებული დებულება—კოდექსი; მისპო სრულიად სალი ხის ჭრა და ნება დართო მხოლოდ ნაყარი, ხე-ხმელი, და შესული ხე-ტყის დამზადება ბორჯომის ქარხნების საჭიროებისათვის.

ფართო ხასიათი მისცა ტყის გაშენების საქმეს, რისთვისაც მოაწყო სანერგეები ბორჯომში და აბასთუმანში და შეუდგა ახოების და ტყის ველების ხელოვნურად გატყევებას.

როგორც ზევით აღვნიშნე, ბორჯომის ტყეები მეტად დაზარალდნენ და სამეურნეო გეგმა, რომლის თანახმად უნდა წარმოებულიყო რაციონალური მეურნეობა, ამ მიზეზისა გამო სრულიად შეიცვალა, დაირღვა.

შეუძლებელი გახდა ამიტომ ამ გეგმით სარგებლობა და ამ ტყეების სათანადოთ მოვლა-პატრონობა და მერქნის გამოყენება.

საჭირო გახდა ამ ტყეების ახალი აგეგმვა, რაც შესაძლებელია ტყეების მეცნიერულად შესწავლა-გამოკვლევით.

ეს რთული და ფრიად მნიშვნელოვანი, მაგრამ აუცილებელი საქმე უკვე დაწყებულია საკურორტო სამართველოს განკარგულებით სატაქსაციო ჯგუფის მიერ პროფესორი ს. ქურდიანის ხელმძღვანელობით და უნდა დასრულდეს მომავალ 1925 წლის მაისში.

უკანასკნელად ბორჯომის ტყეები აიგეგმა 1914 წელში

ეს გეგმა განირჩევა წინა გეგმებისაგან მით, რომ ტყეები უფრო წვრილ უბნებათ არიან დაყოფილნი და უფრო მარტივი დაბრუნებით ჭრაა დაწესებული, რაც უფრო შეეფერის ბორჯომის ტყეების მნიშვნელობას და ხასიათს.

სხვა მხრივ ამ გეგმის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა აწ დაწყებული ამ ტყეების ახალი აღწერა და მოწყობა დასრულდება.

თუმცა ეხლავე შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი საგულისხმიერო საკითხი, როგორიც არის, მაგალითად ტყეების ხის სოკოთი დაზიანება სრულიად უყურადღებოთ არის დატოვებული, მიუხედავად იმისა, რომ ეს სოკო გავრცელებულია ამ ტყეებში ყველგან და დიდი ზიანიც მოაქვს, ვინაიდგან სოკოსაგან დაზიანებული ხე თუმცა არ ხმება, მაგრამ სრულიად უვარგისი ხდება. უყურადღებოთ დატოვილია ტყეების დაზიანება სხვადასხვა ხის მავნე მწერებით. უსისტემო ტყეების ჭრის და მოუვლელობისა გამო ტყეები დიდით დაზიანდა და ზიანდება ეხლაც ქერქი-ჭამია ხოჭოსაგან.

პროფ. ქურდიანს განზრახვა აქვს დიდი ყურადღება მიაქციოს როგორც პირველ, ისე მეორე მოვლენას და გამოიმუშავოს მათ წინააღმდეგ კონკრეტიული ზომები. პროფ. ქურდიანის აზრით ბორჯომის ტყეები, როგორც საკურორტო მნიშვნელობის და დაცვითი ხასიათის ტყეები, უნდა მოეწყოს ახალი და საგანგებო გეგმით, როგორც შეფერის ასეთი მნიშვნელობის ტყეებს.

1. მოწყობა ამ ტყეებისა უნდა წარმოებდეს 1914 წლის ინსტრუქციის მიხედვით და იმ სისწორით როგორსაც თხოულობს პირველ ხარისხის აგარაკების მოწყობა, საჭიროა მხოლოდ იმ ცვლილებების შეტანა, რომლებიც გამოწვეული იქნება ტოპოგრაფიული მდებარეობით და ამორჩევითი ტყის მოჭრით.
2. სატყეო მეურნეობა უნდა იყოს ამორჩევითი და არა პირაღებითი.
3. უნდა გამოიყოს საპარკო ტყეები—ბუნების ძეგლები.
4. მიექცეს დიდი ყურადღება გატყევების საქმეს; შესწავლილ იქნეს პირობები, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური წესით გატყევებისა, მეჩხერი წიწვნარით და სხვა და სხვა.

ბორჯომის ტყეების შესასწავლად და ახალი გეგმის შესადგენათ ტყეების მთელი არე გაიყო ოთხ წილად, ოთხ სატაქსაციო ჯგუფთა შორის. ყოველ ჯგუფში შედის ერთი ტაქსატორი მისი დამხმარე [illegible] სტუდენტი, და მიწის მზომელი. ტყეები მოწყობა სწარმოებს მეცნიერულ ნიადაგზე და მეტრიულ სისტემით.

მუშაობა დაიწყო უკვე ორი თვეა.

21 ივლის მოხდა ბორჯომში ტაქსატორთა შეერთებული კრება, რომელსაც დაესწრო ბორჯომის მიწატყის კავშირის პრეზიდიუმი, სატყეო განყოფილების გამგე და ტყის გამგენი. კრება გაიხსნა პროფ. ქურდიანის თავმჯდომარეობით. ტაქსატორებმა მოახსენეს კრებას თავისი ამ ხნის მუშაობის მიმდინარეობა და შედეგები. აღნიშნეს ამასთან კონკრეტიულად ის შეცდომები, რომლებიც დაუშვა ტაქსატორთა ჯგუფს 1914 წელში ამ ტყეების აგეგვის დროს.

ამ საგულისხმიერო და საქმიანმა მოხსენებებმა მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. კრების ყოველი წევრი სავსებით დარწმუნდა, რომ ყოველი ჯგუფის ტაქსატორი და მისი თანამშრომელი გატაცებულნი, როგორც ახალგაზდა მუშაკნი თავიანთი სპეციალობის სიყვარულით და ახალგაზრდული ენერგიით შესდგომიან ამ საქმის კეთებას, რათა სახელოვნათ დაამთავრონ იგი.

მ. მ—ლი.

პროფკავშირებში

გორის სამაზრო პროფბიუროში

გორის სამაზრო პროფბიურო აერთიანებს რვა კავშირის სამაზრო განყოფილებას, რომელშიც 1902 კავშირის წევრი შედის.

საორგანიზაციო მუშაობა.

სამპროფბიუროს აპრილის, ივნისის და ივლისის განმავლობაში თერთმეტი სხდომა ჰქონდა. გაირჩა სხვადასხვა საკითხები. ჩატარდა სამი კამპანია წითელი ჯარის, მუშების კოოპერაციის წევრებათ ჩაწერის და რემედასის სასარგებლოთ. კოოპერაციის წევრებათ მრავალი მუშა მოსამსახურე ჩაეწერა.

დამოკიდებულება როგორც ქვედა, ისე უმაღლეს ორგანიზაციებთან წესიერია.

ინდივიდუალური წევრობა თითქმის მთლიანათაა გატარებული ქალებსა და ახალგაზრდათა შორის. მუშაობა გაცხოველებულია.

სამპროფბიუროს ფონდები.

სამაზრო პროფბიუროს ფინანსები შესდგება 2 პროც. ანარიცხი ადგილკომის შესანახავათ, 1 პროც. ურთიერთ დამხმარე სალაროსათვის და 1 პროც. უმუშევართა დამხმარე ფონდისათვის.

სამპროფბიუროს ფინანს. მდგომარეობა მეტად სუსტია, რასაც სათანადო ყურადღება ექცევა.

ხატ. საქ. განყ. მუშაობა

სამპროფბიუროში შემავალი კავშირის წევრები ხელფასს იღებენ კოლექტიური ხელშეკრულებით. ხელფასი ორნაირათ ეძლევათ სახელმწიფო მინიმუმის და კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით.

კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით მინიმუმი ეძლევათ 7 მან. 80 კ.—13 მანეთამდე.

შრომის დაცვა მიმდინარეობს წესიერათ. შრომის კოდექსის დარღვევას ამ სამი თვის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია. მთელ გორის მაზრაში ითვლება 32 უმუშევარი. მათ დახმარება ეძლევათ შეძლებისდაგვარათ.

კულტმუშაობა.

კულტმუშაობის წესიერ ნიადაგზე დასაყენებლად გორის სამპროფბიურომ გადასწყვიტა ააგოს მუშათა [illegible] რისთვისაც [illegible] კამპანიები, მაგრამ იმდენი თანხა, რამდენსაც [illegible] შეგროვდა.

ბინის უქონლობამ შეაფერხა ამ დარგში მუშაობა.

სამპროფბიურო, მიუხედავად ბინის უქონლობისა, ცდილობს გააცხოველოს კულტმუშაობა. ამ ხნის განმავლობაში გახსნილია სამკითხველო-ბიბლიოთეკა. მოეწყო მუშებისათვის კინო, იკითხება ლექცია, მოხსენებები და სხვა.

წითელ ჯარში

საგამომცემლო კოლეგიაში

სამ. რევ. საბჭოსთან არსებული ქართული სამხედრო სარედაქციო—საგამომცემლო კოლეგია ამხ. ი. გედევანიშვილის თავმჯდომარეობით მუშაობს ქართული წითელი ჯარისათვის სახელმძღვანელოების გამოსაცემად. კოლეგიამ რამოდენიმე თვის არსებობის ხანაში გამოსცა სხვადასხვა სახელმძღვანელოები ჯარისათვის, როგორიცაა, „ქვ. ჯ. ტაქტიკა“ „ხიშტით ბრძოლა“, „ტანკები“, „ტოპოგრაფია“, „ლუისის ტყვიისმფრქვეველი“, „ფედოროვის თოფი ავტომატი,“ „ტერიტორიალური შევსება“, „საველე ტელეფონები“ და სხვა. იბეჭდება და მალე გამოვა: „ტაქტიკა“ (არტილერია) „ქვეითი ჯარი“, „ლაფეტი“, „ტელეგრაფი“, „ტაქტიკა“ (საინჟინერო ჯარების, ავიაცია, ცხენოსანი ჯარი) და სხვა.

კოლეგია ამის გარდა სცემს თვიურ სამხედრო-სამეცნიერო ჟურნალს: „წითელი გუშაგი“, სადაც სამხედრო საქმის ზედმიწევნით მცოდნენი თანამშრომლობენ, როგორც ქართულ ნაწილებიდან ისე კავკასიის წითელ დროშოვან არმიიდან.

პირველი ნომერი უკვე გამოვიდა და დაურიგდა ნაწილებს, მეორე ნომერი ამ დღეებში გამოვა.

ითარგმნება და მალე გამოვა ბევრი სხვა სახელმძღვანელოებიც.

ასე რომ მოკლე ხანში მეთაურთა სკოლა და ყველა ქართული ნაწილები უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმძღვანელოებით ქართულ ენაზე.

კოლეგიის დახმარებით და დიდი ცდით გამოიცა აგრეთვე „ტაბულა“ (პოლიტიკურ ეკონომიურ განვითარების შესწავლის ძირითადი ელემენტები) ფერადი სალებავებით, რომელიც გამოსადეგია როგორც ჯარებისათვის, ისე ყველა სკოლებისათვის,

გუშაგი.

საბჭოთა სასამართლო

ლეონიდ უტულოვის საქმე

ამ. საქ. ოლქის სასამართლო ახლო მომავალში გაარჩევს კრიმინალურ პრაქტიკაში მეტად იშვიათ საქმეს—თბილისის სისხლის სამართლის მილიციის ყოფ. თანამშრომლის ლეონიდ უტულოვისას, რომელსაც ბრალათ ედება ს. ს. კ. 191 მუხ. 1 ნაწ. გათვალისწინებული ბოროტმოქმედება,—შეიარაღებული თავდასხმა და გაძარცვა.

რამოდენიმე თვის წინეთ [illegible] კაცობაშვილის სახლში შევიდა ორი შეიარაღებული უცნობი. მათ თავის თავს უწოდეს სისხლ. სამართ. მილიციის აგენტები, „გაჩხრიკეს“ კაცობაშვილი, შეუყენეს მას „ოქმი“, გამოართვეს დიდძალი ოქრო და ძვირფასი ნივთები, რის შემდეგ ძარცველები გაჰქრენ. კაცობაშვილმა ამ შემთხვევის შესახებ განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას და, ამ უკანასკნელის მოთხოვნის გამო, აუწერა მათ გარეგნობა ერთი მძარცველის, რომლის სახე მას კარგათ ახსოვდა. დაწვრილებით აღწერილ ნიშნების მიხედვით მილიციამ დააპატიმრა სისხლ. სამ. მილიციის ოპერატიულ ნაწილის ყოფილი უფროსი, ინეთაც პასუხისგებაში ყოფილი ლეონიდ უტულოვი. როდესაც დაზარალებულს წარუყენეს დაპატიმრებული უტულოვი, კაცობაშვილმა მტკიცეთ განაცხადა, რომ უტულოვი სწორეთ ის მძარცველია, რომელმაც მას „ოქმი“ შეუდგინა. მილიციის ეჭვი თითქოს გამართლდა მას შემდეგ, რაც ოქმის და უტულოვის ნაწერების შედარებამ აღმოაჩინა ორივე ხელთნაწერის უტყუარი მსგავსება, წინასწარი გამოძიება დამთავრდა და ბრალდებულ უტულოვის საქმის გარჩევა დაინიშნა წარსულ ივლისის 31-სათვის. მაგრამ, ვინაიდან ბრალდებული არაჩვეულებრივი ჯიუტობით უარყოფდა თავის დანაშაულს და რაიმე კავშირს კაცობაშვილის გაძარცვასთან, მისი დამცველი (მ. ღვამიჩავა) განაგრძობდა ნამდვილ ბოროტ-მოქმედის ძიებას და, მართლაც, მან აღმოაჩინა ვინმე ბორის ხრაპკინი,—საგუბერნიო საპყრობილეს ტუსაღი,—რომელიც ირიცხებოდა რევტრიბუნალის სახელზე იმავე კაცობაშვილის ძარცვისათვის. აღმოჩნდა გარდა ამისა, რომ ეს ხრაპკინი გარეგნობით არაჩვეულებრივათ ჰგავს უტულოვს. მაგრამ უფრო გასაოცარი ის არის, რომ მისი ხელთნაწერის ფოტოგრაფიულმა ექსპერტიზამ აღნიშნა შესანიშნავი მსგავსება,—თითქმის იგივეობა,—უტულოვის და ოქმის დამწერის ხელთან. ყოველივე ამის გამო უტულოვის დამცველმა მ. ღვამიჩავამ ოლქის სასამართლოს 31 ივლისის სხდომაზე შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე, რათა უტულოვის საქმე გადაეცეს სასამართლოს გამომძიებელს წინასწარი გამოძიების გასაგრძელებლათ და საქმის გარჩევა კი გადაიდოს რევტრიბუნალში ბორის ხრაპკინის საქმის დასრულებამდე. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა.

სახალხო სასამართლო

პეტრე (პეხუ) კუპრეიშვილის საქმე

მე-5 რაიონის სახალხო სასამართლოში 9 აგვისტოს გაირჩევა საქმე მოქ. პეტრე (იგივე პეხუ) კუპრეიშვილის. კუპრეიშვილს ბრალათ ედება ს. ს. კ. 155 მუხ-ში გათვალისწინებული ბოროტმოქმედება. საქმის შინაარსი, ბრალმდებლო დასკვნის მიხედვით შემდეგია:

ერთ კერძო ბინაზე შეკრებილან რამოდენიმე კაცი ქაღალდის (კარტი) სათამაშოთ. მათ შორის იყო კუპრეიშვილი და დაზარალებული,—ვინმე გრიგორიანი. სტუმრებს წინასწარ უსაუზმნიათ და შემდეგ, შეზარხოშებულთ, დაუწყიათ კარტის თამაში. თამაშში ბედმა უმტყუნა კუპრეიშვილს და გაუღიმა მის მოწინააღმდეგე გრიგორიანს. წაგებულმა გადაიხადა ვალი ლირებით, მაგრამ რადგან მიცემულ თანხიდან მას ერგებოდა ხურდა, კუპრეიშვილმა მოითხოვა დარჩენილ ფულის დაბრუნება ეხლავე. გრიგორიანს უარი განუცხადებია ფულის დაბრუნებაზე „ხვალამდე“, ატყდა დავა და შემდეგ ჩხუბი. კუპრეიშვილი ჩხუბის თუ დავის დროს ხელით შეეხო გრიგორიანს, მაგრამ უკანასკნელი უფრო მარჯვე მოკრივე აღმოჩნდა: მიაძგერა მოწინააღმდეგე კედელზე და ყელში ხელი წაუჭირა. კუპრეიშვილმა იძრო ხანჯალი და მიაყენა გრიგორიანს რამოდენიმე ჭრილობა შუბლში და ზურგში.

განაჩენს მოვათავსებთ საქმის გარჩევის შემდეგ.

ქრონიკა

— **„ხრაზინდო“-ს საზეიმო გახსნა.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი, საამშენებლო კომიტეტი და სანატორიუმის გამგეობა აღნიშნულ ზეიმზე დასასწრებლად იწვევს პროფესიონალურ, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების და დაწესებულებათა წარმომადგენლებს. წარმომადგენლებისათვის 10 აგვისტოს დილის 7 საათზე, ბორჯომ პარკში, დამზადებული იქნება ავტომობილები, რომლებზედაც წარმომადგენლები დაშვებული იქნებიან შესაფერი მოწმობების წარდგენის შემდეგ.

— **ქუჩების სახელების შეცვლა.** ქ. აღმასკომმა დაამტკიცა ქუჩების სახელების შეცვლის პროექტი.

— **ვერის მუშათა კლუბისათვის.** ქ. აღმასკომმა ვერის მუშათა კლუბის შენობის დასამთავრებლად გაიღო 6.856 მან.

ქვა-ფენილის შესაკეთებლად. ქ. აღმასკომმა თამარშენის ქუჩაზე ქვაფენილის და გასამაგრებელ კედლების გასაკეთებლად გადასდო 2.125 მ.

— **სახაკლაო კოჯორში.** ქ. აღმასკომმა საჭიროდ სცნო კოჯორში სახაკლაოს აშენება და მისთვის საჭირო თანხა შეტანილი იქნება 1925 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში.

ბავშვთა მეგობრობის საზოგადოებაში. ბავშვთა მეგობრობის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ქ. აღმასკომის წინაშე, რათა ნება მიეცეს მას რესტორანებსა და ბაღებში მოსადილეებზე შემოიღონ ქუჩის ბავშვთა სასარგებლოთ მარკების გაყიდვა, 2 მანეთზე—5 კაპ. 2—4 მან. 10 კაპ. 4—6 მან. 15 კაპ. ღამის 11 საათიდან კი გადასახადი გაორკეცდება, სათანადო შუამდგომლობა აღძრულია სახ. კომისართა საბჭოს წინაშე.

— **წყალსადენი კოჯორში.** ქ. აღმასკომის კეთილ მოწყობის სექციის მიერ მიღებულია ზომები უახლოეს მომავალში კოჯორში წყალსადენის გასაყვანად.

— **ქუჩების გაფართოება.** ქ. აღმასკომმა განიზრახა ბაზრის ქუჩის გაფართოება, ქუჩა გაფართოებული იქნება თავისუფლების მოედნიდან თათრის მოედნამდე.

მუშათა ცხოვრება

კოჯორში საყოფ პურს ვეღარ ვშოულობთ.

(ქალ. აღმასკომის და მუშკოპის საყურადღებოდ).

კოჯორში პურის ნაკლებობა საგრძნობი შეიქნა. კერძო მოვაჭრეები იშვიათად აცხობენ პურს და მოაგარაკეთა მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადგილობრივ კოოპერატივს უხდება. მაგრამ, სამწუხაროდ, კოოპერატივი ვერ ახერხებს ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ამ ნიადაგზე მოაგარაკეთა ერთგვარ მღელვარებას აქვს ადგილი. როგორც ადგილობრივად დაკითხვიდან გამოირკვა, კერძო მოვაჭრეებს არ ჰქონიათ ანგარიში არსებულ პირობებში აცხონ პური, ხოლო კოოპერატივი ან არ იგებს პურის ოპერაციებზე არაფერს, ან და პირდაპირ ზარალობს. ასეა თუ ისეა, ამ საკითხის სასწრაფო გადაჭრა აუცილებელია. ფქვილი ბლომად არის საზოგადოდ. ამის შესახებ არა ერთხელ იყო განცხადება პრესაში. საჭიროა მხოლოდ ამ ფქვილის მარაგის წესიერად გამოყენება. ეს უნდა მოხდეს დაჩქარებით, ვინაიდან **კოჯორში საკმარისია წყლის ბუნებრივი კრიზისი და თუ ამას პურის ხელოვნური კრიზისიც დაემატა, მდგომარეობა მეტად მძიმე შეიქმნება მუშა-მოაგარაკეთათვის.**

მუშკორი ა. ნ.

რომელ საათიდან იწყებს ფუნიკულიორი მუშაობას?

(აღმასკომის საყურადღებოდ).

კვირას, 3 აგვისტოს ფუნიკულიორზე ვაგონი დილის პირველად 10 ს. 25 წუთზე ავიდა. თუ ასეთი გვიან მუშაობის დაწყება მიზანშეწონილია არა უქმე დღეს, ის ყოვლად დაუშვებელია უქმე დღეებში, როდესაც დიდძალი მუშა-მოსამსახურენი მიემგზავრებიან კოჯორში. მრავალი მგზავრი, რომელიც არ დაიშურებდა ბილეთის ფასს 3 აგვისტოს, ლანძღვა-გინებით სტოვებდენ მათთვის გამოუსადეგარ ფუნიკულიორს და მიდიოდენ ფეხით.

მე მგონია უქმე დღეებში ფუნიკულიორი უფრო ადრე უნდა იწყებდეს მუშაობას, ვიდრე ჩვეულებრივად. აღსანიშნავია ისიც, რომ 3 აგვისტოს სადგურის და ვაგონის ხვეტა დაიწყეს მგზავრების უკვე ვაგონში ყოფნის დროს, რითაც მტვერის კორიანტელი დააყენეს. დაგვაც ცოტათი ადრე უნდა ხდებოდეს.

მუშკორი გოგინკა.

გამოგზავნილი წერილებიდან

ქუჩიდან კლიტე ადევს და ეზოდან ვაჭრობენ

(მე-9 სამილიციო უბნის უფროსის საყურადღებოდ)

მე-9 სამილიციო რაიონში ოთხშაბათობით რესტორანებში ვაჭრობა აკრძალულია, მაგრამ არიან ისეთი გაუმაძღარი ვაჭრები, რომლებიც არღვევენ ამ დადგენილებას. ქუჩის პირიდან კლიტეს ადებენ და ეზოდან ვაჭრობენ, მუშას საჭმელში ტყავს აძრობენ და ისინიც ხმას ვერ იღებენ.

საჭიროა ამგვარ მოვლენას ყურადღება მიექცეს.

მუშა—ლეო.

გვჭირდება დარაჯი

(ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს საყურადღებოდ)

ჩვენ, ცენტროტრამოტას მუშებს, გვიხდება მუშაობა დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ოთხ კაცს (სანიტრებს) გვაბარია სადგურის მორწყვა, დაგვა, ავადმყოფების გაცილება საავადმყოფოში ტვირთის დადება ვაგონში და სხვა.

როცა ჩვენ საქმეს ვადგევართ, ტვირთი რჩება უპატრონოდ, ეს კი ჩვენი მოვალეობა არ არის. მას სჭირდება, „სპეცი—დარაჯი“. ეს საკითხი უნდა გამოირკვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ პასუხს არ ვაგებთ.

მუშა გ. დანდუროვი.

ფურნეს და თონეს მეტი ყურადღება სჭირდებათ

(პროფსაბჭოს საყურადღებოდ)

ქ. ზესტაფონში არსებობს 14 ფურნე და თონე. მათში ოთხი კოოპერატივისაა და ათი კერძო მეპატრონეებისა. მათში მომუშავეებს არ აქვთ განსაზღვრული დრო. ისინი მუშაობენ დღე და ღამე საშინელ პირობებში. იმათაც სწყურიათ ადამიანური ცხოვრება. ისინი მოითხოვენ განსაზღვრულ 8 საათის სამუშაო დღეს და სათანადო ყურადღებას.

მუშა—ხონჭიორელი.

თბილისის აღმასკომის მუშა-მოსამსახურეებში

30 ივლისს თბილისის აღმასკომის მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყვეს გაერთიანებული კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს ბასილია, მდივნათ ჩარხიშვილი.

დღის წესრიგში იყო მოხსენება ათი წლის იმპერიალისტურ ომის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

ათი წლის თავის იმპერიალისტურ ომის შესახებ ამხ. მესხიმ მოახსენა კრებას დაწვრილებით ის მიზეზები, რომლებითაც იყო გამოწვეული ეს ომი და რა შედეგები მოჰყვა მას.

მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო რეზოლიუცია, სადაც ის ზიზღს და გულისწყრომას გამოსთქვამს მსოფლიო მტაცებელთა ბურჟუა-კაპიტალისტების წინააღმდეგ.

მუშკორი უხილავი.

რკინისგზელებში

(რკინისგზის ადმინისტრაციის საყურადღებოდ).

დღემდისაც რკინისგზის დეპოს არა ჰყავს ოფიციალურად განმრიგებელი (ნარიადჩიკი). რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ მარტო მოძრაობის სამსახურს ეკუთვნის განმრიგებელი მისი თანაშემწე და სხვა? წევის დარგს ორჯელ მეტი ჰყავს მუშა ხელი, მეტი მუშაობაც სწარმოებს და ამ დარგში კი დღემდისაც ოფიციალურად არ არის განმრიგებელი. ეს კი არ არის სასურველი და არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურ მოვლენად.

იმედია, ადგილობრივი ადმინისტრაცია მიიღებს სათანადო ზომებს და საბოლოოდ გადასწყვეტს ამ საკითხს იმ მხრივ, რომ დეპოს საყუდმა იყოლიოს თავის განმრიგებელი თანაშემწით, ვინაიდან ამას თვით წარმოების ინტერესი მოითხოვს.

მუშკორი შავსოფლელი.

ნუ გვლანძღავენ მუშებს

(რკ. გზ. პროფკავშირის საყურადღებოდ).

30 ივლისს საღამოს 10 საათზე კორის სადგურზე 1-ლ ლიანდაგზე იდგა სამარშრუტო მატარებელი. და ამავე დროს სადგურში შემოვიდა მატარებელი № 4. ეს მატარებელი დადგა მეორე ლიანდაგზე და მუშაობის დროს ხელს გვიშლიდა გადასვლა-გადმოსვლაში ღამის სიბნელეში. მიუხედავად ამისა მაინც გადმოვტვირთეთ ტვირთი წონით 69 ფუთი. ეს მოხდა მეორე ზარის მიცემის დროს. მატარებელი იქნა დაკავებული. ამ დროს მოგვიხტა უფროსის თანაშემწე და უშვერი სიტყვებით გაგვლანძღა მუშები, და მუშტითაც გვემუქრებოდა. ვინ იყო დამნაშავე ჩვენ შორის? ჩვენ ვითხოვთ საქმის გამოძიებას

ხელს აწერს 15 მუშა.

რკინისგზელთა ქრონიკა

— **საბარგო ვაგონების ახალი კონდუქტორები.** „დორპროფობრ“-თან არსებული რკინისგზელთა კურსები ამ დღეებში დაამთავრეს და 30 ივლისს გადაიგზავნენ რკ. გზ. სამმართველოს განკარგულებაში 25 კაცი საბარგო ვაგონების კონდუქტორებად.

— **ლექციები ლენინიზმზე.** დეპოს მუშებისათვის, დეპოს ადგილკომის კულტგანყოფილება აწყობს ყოველ ხუთშაბათობით ლექციებს ლენინიზმზე. პირველი ლექცია მოეწყო 24 ივლისს.

— **ცემში.** ტფ. საუბ. რკ. გზ. პროფკავშირთან არსებულმა განმანაწილებელ-საკონფლიქტო კომისიამ გაგზავნა სამკურნალოდ ცემის სანატორიუმში 20 მუშა და 4 მოსამსახურე.

— **ცენტრალურ ამბულატორიის გადიდება.** ცენტრ. ამბულატორიის თანამშრომელთა საზოგადო კრებამ მიმართა საუბკომიტეტს, რათა ამ უკანასკნელმა იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს ამბულატორიის გასაფართოვებლად. შესაძლებლობა არის „დისპანსერი“-სათვის სხვა შენობის მოძებნისა.

— **შტატის გადიდება.** დეპოს ადგილკომმა მოსთხოვა დეპოს უფროსს შემოიღოს ამ უკანასკნელის ორთქლმავალზე შტატი ერთი სილის დამყრელი მუშისა.

— **გამოფენა.** დეპოს მოსწავლეთა ბრიგადები ახლო ხანში აწყობენ საკუთარ ნაწარმოებთა გამოფენას.

— **მოსწავლეთა ბრიგადისათვის.** დეპოს ადგილკომმა სთხოვა დეპოს უფროსს გამოიწეროს შრომის ბირჟიდან ოსტატები მოსწავლეთათვის ბინის ასაგებად.

— **აფთიაქის მუშაკთა შტატის გადიდება.** ცენტრ. ამბულატორიის თანამშრომლების საზოგადო კრებამ დაადგინა აფთიაქში მომუშავეთა შტატის გადიდება.

— **ნორმა ავადმყოფებისა.** იმავე კრებამ მოსთხოვა საუბნო კომიტეტს, რათა ამ უკანასკნელმა განსაზღვროს ნორმა მისაღებ ავადმყოფებისა 17 კაცით თვითეულ კბილის ექიმზე.

— **„ზაკტპო“-ს სახელოსნო.** დეპოს ადგილკომმა გადასცა გასარჩევად საკითხი ტფ. საუბ. პროფკავშირს „ზაკტპო“-ს ფეხსაცმელების სახელოსნოს დაარსების შესახებ.

— **სანიტარების შტატის გადიდება.** ცენტ. ამბულატორიის თანამშრომელთა საერთო კრებამ საჭიროდ სცნო ამბულატორიაში სანიტარების შტატის გადიდება. სათანადო მოთხოვნილება წარუდგინა ტფ. საუბ. რკ. გზ. პროფკავშირს.

— **„ლენინის კუთხე“.** საუბ. კავშირი აწყობს თავის შენობაში „ლენინის კუთხე“-ს. საზეიმო გახსნა მოკლე ხანში მოხდება.

ეს საქმე გამოასწორეთ!

(ამ. კავ. წყალშენთა სამმართველოს და აღმშ. კავშირის ც. გ. საყურადღებოდ).

ჭალადიდისა და ფოთის ჭაობების ამოშრობის საქმე სასურველად მიმდინარეობს, მუშაობა თანდათან ნორმალურ კალაპოტში სდგება. მუშათა მდგომარეობა ნაწილობრივ გამოკეთდა. თუ წინეთ საექიმო დახმარება არ იყო, დღეს ასეთი არის. მუშები უფასოდ ღებულობენ საექიმო დახმარებას. ჯამაგირსაც თავის დროზე აწვდიან.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. ის ადგილი, სადაც ეხლა მუშაობა სწარმოებს, მოშორებულია სამი-ოთხი ვერსით ოჯახებს და რამდენათაც მეტად მიიწევენ წინ ახალ-ახალ სამუშაოებზე, იმდენათ უფრო შორდებიან საცხოვრებელ ბინებს. უბინობა კი ძლიერ აწუხებს მუშებს. საჭიროა ამ საკითხის მოწესრიგება.

სურსათ-სანოვაგის და სადილის საქმე სასურველ მდგომარეობაშია. ვინ არ იცის და ვის არ უგემია ვაჭრის კლანჭები და ისიც მიკიტნის. რა გინდ შენი მოყვარული იყოს ეს გაიძვერა მიკიტანი, ის მაინც გაგატყავებს. ჭაობის მუშები სწორედ ამნაირ მდგომარეობაში არიან ჩაცვენილი. საერთო სასადილო ვერ მოუწყვიათ და მიკიტანი კი აბა რა ხეირს დააყრის. ამას თვით მუშებმაც და მუშათა ადგილკომმაც სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ და სასადილოს საქმე საჩქაროთ მოაგვარონ. ეს უფრო ადვილი საქმეა. რაც შეეხება კულტურულ მხარეს, აქ გაზეთებისა და ჟურნალების გამოსაწერათ უკანასკნელ დროში გადასდვეს ხუთი მანეთი, რაც მცირეა და შეძლებისდაგვარად უნდა გადიდდეს ხოლო მოსაგვარებელია სამკითხველოს ბინის საკითხი. გაზეთებსა და ჟურნალებს ხელდახელ ხომ ვერ ატარებ და იკითხავ. ბინაა საჭირო. ესეც ასაშენებელია. ოთხ-ხუთ არშინიანი შენობა ამისთვის სრულიად საკმარისია.

ამას უნდა დაუმატო შემდეგი: ადგილკომის ხელმძღვანელი ამხ. კიტეიშვილი დანიშნულია თანამდებობაზე 1 ივნისიდან, რომელ დღიდანაც მას აუცილებლად უნდა მიეცეს ჯამაგირი. სინამდვილეში კი მოხდა შემდეგი: ამხ. კიტეიშვილმა ჯამაგირი მიიღო მხოლოდ 22 ივლისიდან. რა იქნა ივნისისა და ივლისის 22 დღის ჯამაგირი? ამას სერიოზულად უნდა შევხედოთ.

ამნაირათ საჭიროა საჩქაროდ შემდეგში ზომების მიღება: ა) მუშათა საცხოვრებელი ბინების აგება, ბ) სასადილოს მოწყობა და მიკიტნის გაძევება, გ) ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერათ მეტი თანხის გადადება და სამკითხველოს შენობის აგება და დ) ადგილკომის ხელმძღვანელის ამხ. კიტეიშვილისთვის ჯამაგირის მიცემა მისი სამსახურში ფაქტიურად შესვლის დღიდან.

ბაგრატ უჩანეიშვილი.

პროვინციის ქრონიკა

— **ელექტრონის სადგურის აგება** აჭარის-წყალსადენზე ელექტრონის სადგურის ასაგებ სამუშაოს სამმართველომ დაამთავრა საამშენებლო მასალების დიდი პარტიის მიღება. ამ დღეებში ეს მასალები გადაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

— **ლურსმნის ქარხანა.** აჭარის სამრეწველო-სავაჭრო სამმართველო შეუდგა ლურსმნის ქარხნის მოწყობას. ქარხანა უნდა ამუშავდეს აგვისტოს დასასრულს.

— **ბანკის განყოფილების გახსნა.** ახლო მომავალში ბათომში გაიხსნება რუსეთის საგარეო ვაჭრობის კომერციული ბანკის განყოფილება, რომელიც კრედიტებს მიაწოდებს ექსპორტს.

— **აბრეშუმის პარკის ექსპორტი** ცეკავშირის ბათომის განყოფილებამ მიიღო სამტრედიიდან 25 ვაგონი აბრეშუმის პარკი, რომელიც უნდა კაიგზავნოს მარსელში.

— **სამალარიო სადგური.** ახალსოფელში (სიღნაღის მაზრაში) იხსნება სამალარიო სადგური კახეთში ციებ-ცხელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

— **ლანჩხუთის სახალხო სახლისათვის.** ლანჩხუთის სახალხო სახლის დასამთავრებლად მთავრობამ კიდევ გადასდო 1000 მანეთი.

— **ხიდების გაკეთება.** უახლოეს მომავალში დამთავრდება მდ. ნატანებსა და ბახვის წყალზე ხიდების გაკეთება. ხიდების გაკეთებაზე დაიხარჯა 20,000 მანეთი.

— **ჭიათურის თეატრის შეკეთება.** ჭიათურის თეატრის შესაკეთებლად შორაპნის სამაზრო აღმასკომმა გადასდო 18.000 მან.

— **სეტყვისაგან დაზარალებულნი.** თელავის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის წინაშე შილდის რაიონში სეტყვისაგან დაზარალებულ მცხოვრებთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

— **ქართულ ენის კურსები.** აზარისტანის განათლების კომისარიატმა ნება დართო მოქ. ილ. ელენტს გახსნას ბათომში ქართულ ენის მოკლევადიანი კურსები.

— **წყალსადენი სოფლად:** ს. ვარდისუბანში წყალსადენის გასაყვანად თელავის სამაზრო აღმასკომმა გადასდო ასი ფუთი ცემენტი.

— **სამკურნალო რაზმები.** ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობით ამჟამად სამკურნალო რაზმები არსებობს რაჭის, ლეჩხუმის, ახალქალაქის მაზრებში და ხევსურეთში, განზრახულია ასეთი სამკურნალო რაზმებით ყველა დაბა-სოფლები მოიფინოს.

— **წყალსადენი ბულაჩაურში.** ქ. აღმასკომმა ბულაჩაურში წყალსადენის გაყვანა მიანდო კავკასიის ჰიდრო-ტეხნიკურ კომიტეტს.

— **კერძო ვაჭრობა ისპობა.** თელავის კოოპერაციამ თითქმის სავსებით განდევნა კერძო ვაჭრობა. ვაჭრები და სპეკულიანტები საფრთხეში ჩავარდენ. ზოგიერთ საგნების დამზადებაში კოოპერატივს აქ აღარ ჰყავს მეტოქე.

— **კოოპერატივები გურიაში.** გურიაში არსებობს 8 მთლიანი კოოპერატივი, რომელთაც აქვთ თავ-თავიანთი განყოფილებები, დღითი დღე კოოპერატივები ფეხს იკიდებენ და ძლიერდებიან.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვიქტორ [illegible] ძე ანჯაფარიძე, ძმისწული ნინა სერგოს ასული და მეუღლე მისი შიო დიმიტრის ძე [illegible]ხიშვილები, დედამთილი მართა ანჯაფარიძე აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებთ, რომ 12 აგვისტოს, დილის 10 საათზედ, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან [illegible] დღის შესრულების გამო წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი [illegible]

ქსენია ათანასის-ასული
ანჯაფარიძისა

1665 2—1

თბილისის 5 სპეციალური ტეხნიკუმი
(ყოფილი 1-ლ ქალთა გიმნაზია)
ტეხნიკუმში მიიღებიან 7 წლიანი შრომის სკოლის კურსდამთავრებულნი.
თხოვნების მიღება სწარმოებს ყოველდღე 9—1 საათამდე.
1660 2—1

ახალციხის სამაზრო აღმასკომი
ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 15 აგვისტოს ა. წ. ქალ. ახალციხეში, ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების შენობაში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ბენარის ბაღის მოსავლისა, ახალციხიდან მე-15 ვერსზე, აბასთუმნის გზა ტკეცილზე.
ხილის ჯიში: შაფრანის რენეტი, სინაპი-კანდილი, თეთრი კალვილი, შამპანური რენეტი, აბელაური (ფაშა) და სხვა, აგრეთვე მხალი საზამთრო და საზაფხულო ჯიშის. სულ 30,000 ფუთამდე.
საჯარო ვაჭრობის პირობების გაგება შეუძლია ყველას ვაჭრობის დღემდე ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებაში ქალ. ახალციხეში.
1656 1—1 სამაზრო აღმასკომი.

სექტემბრის დასაწყისში გამოვა პირველი №
ჟურნალის
„РАБОЧИЙ ЗАКАВКАЗЬЯ“
რომელსაც სცემენ ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭო, ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი, ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირი და ა.-კ. სახალხო კავშირის გამგეობა ა.-კ. კოოპერაციის აქტიური მონაწილეობით.
ჟურნალი გამოდის თვეში 2-ჯერ.
თვითეულ ნომერს ექნება 16—24 გვერდი, დიდი ფორმატის, მრავალი ილიუსტრაციებით.
„РАБОЧИЙ ЗАКАВКАЗЬЯ“
ემსახურება მუშა მკითხველების ფართო წრეებს, ჟურნალში გაშუქებული იქნება საკითხები ამიერ-კავკასიის, სრულიად საკავშირო და საერთაშორისო პროფესიონალურ და მუშათა მოძრაობის, აგრეთვე მუშათა კოოპერაციის და პროფკავშირების მუშაობის შესახებ.
დიდი ყურადღება მიექცევა მუშათა ყოფა-ცხოვრებას, ტეხნიკას, წარმოებას და ტეხნიკურ პროფესიონალურ განათლებას.
ხელის მოწერის ფასი ადგილკომების საშუალებით:
3 თვით — — — — 1 მანეთი.
1 „ — — — — 40 კაპ.
ცალკე ნომერი ცალობით გაყიდვის დროს ეღირება
25 კაპეიკი
ხელისმოწერა სწარმოებს: თბილისში, სერგიევის ქ. № 2, ა.-კ. პროფკავშირთა საბჭო, „Рабочий Закавказья“-ს რედაქცია. ნ. 1394 1—1

ს. ს. ს. რ.
სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
სასწორების 1-ლი სახელმწიფო ქარხანა
ამით აცხადებს ყველა დაინტერესებულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და პირთა საყურადღებოდ, რომ მიიღება შეკვეთები ყველა სისტემის და სიმძიმის ამტანი მაგიდაზე დასადგმელი, ათევარი, ასევარი და სხვა გვარი სასწორების დასამზადებლად.
შეკვეთები სრულდება დანიშნულ ვადაში და წესიერად დაკლებულ ფასებში, საზომ-საწონი პალატის დაღის დასმით.
შეკვეთებით და ცნობებისთვის უნდა მიმართონ ქ. თბილისში, პლეხანოვის პრ. № 117 საქ. მთავარი მეტრკომი.
საქ. ს. მ. უ. ს. მთ. მეტრკომის თავმჯდომარე პოლოსოვი.
ნ. 1396 2—1

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეზხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა
რენტგენის სხივებით
დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
1562 13—9

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დაარსებული
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდები ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
126—25—23

— **მალარიის წინააღმდეგ.** სამეგრელოში გაემგზავრა ს მალარიო ექსპედიცია (ციებ-ცხელებასთან საბრძოლველად), რომელიც მცხოვრებთ ქინას უფასოდ მიაწვდის.

— **ფიზკულტურის საერთაშორისო დღესასწაული.** აგვისტოს თვის ბოლო რიცხვებში ქ. მოსკოვში განზრახულია მოეწყოს ფიზიკურ კულტურის საერთაშორისო დღესასწაული, რომელსაც დაესწრებიან ყველა საკავშირო რესპუბლიკების წარმომადგენელნი.

— **ფიზკულტურა და გამომცემლობა.** უმაღ. ფიზიკურ კულტურის საბჭომ დაადგინა გამოსცეს დაუყოვნებლივ წიგნები ფიზკულტურის დარგიდან.

— **წარმოკავშირის სესია.** 9 აგვისტოს ქ. ტფილისში მოწვეულ იქნება წარმოკავშირის საბჭოს მორიგი სესია.

— **ბაზრის მოწესრიგება.** ა.-კავ. შინა ვაჭრობის კომისარიატთან დაარსდა სპეციალური კომისია, რომელიც დრო-გამოშვებით მოაწყობს თათბირს ბაზრის მოწესრიგების საკითხებზე.

— **სამხედრო მუშა-მოსამსახურეთა კრება.** დღეს, 8 აგვისტოს საღამოს 5 საათზე, ქართ. დივიზიის ცენტრალურ კლუბში დანიშნულია ზურგში მყოფ ნაწილების დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების კრება.

შემთხვევები

— **ქურდი სტუმარი.** 1 აგვისტოს საღ. 7 ს. მოქ. სუსან შახნაზაროვისას სტუმრად მისულა ქ. განჯიდან მოქ. ქრისტეფორე პეტროსიანცი, რომელსაც მოუპარავს ერთი ოქროს საათი ღირებული 150 მან.

— **ბინის გაქურდვა.** 3 აგვისტოს ბებუთოვის ქ. № 22 ფანჯრის გაღების საშუალებით გაქურდეს მოქ. ელენა ერმოლენკოს ბინა. წაიღეს საბნები და ერთი ნოხი.

— **ქურდების შეპყრობა.** 3 აგვისტოს დილის 6 ს. სადარაჯოზე მდგომ მილიციელმა ქუჩმაზოვმა დააპატიმრა რაფიელ ნაჭიბაშვილი და ალექსანდრე ერმოლოვი. ორთავეს აღმოაჩნდათ ნაპარავი ნივთები.

— **ქურდობა.** 3 აგვისტოს დღით კოოპერაციის ქუჩაზე ცეკავშირის მექანიკურ სახელოსნოში გაქურდეს მოქ. ავგუსტია ეგოროვნას ბინა.

— **უბედური შემთხვევა** 3 აგვისტოს დღის 2 ს. კახეთის ქ. ცხენით მიმავალმა მოქ. ქაბამ გადაუარა 2 წლის ბავშვს მარკოს აკაკის-ძე ავაქოვს და მოსტეხა მარცხენა მკლავი.

პროვინციაში

სწავლა-განათლების საქმე სიღნაღის მაზრაში

საზოგადოთ სწავლისა და აღზრდის საქმე მაზრაში დიდის წარმატებით მიდის წინ.

ამოდენა სკოლები და ამოდენა რიცხვი მოწაფეებისა თავის დღეში არ უნახავს და არ გაუგონია ჩვენს მხარეს.

ამ ჟამად მაზრაში ირიცხება 2 ტეხნიკუმი, 2 ცხრა-წლიანი შრომის სკოლა, 8 შვიდ-წლიანი შრომის სკოლა, 11 ოთხწლიანი, ამას მოსდევენ 3, 2 და 1 წლიანი სკოლები, სულ-კი ამ ჟამად მაზრაში ირიცხება 88 სკოლა.

ყველა ამ სკოლებში სწავლობს 11,762 მოწაფე. მათ შორის ვაჟი—5652 და ქალი 6110.

წლევანდელ სამოსწავლო წელში მიღებული იყო სკოლებში 4575 ბავშვი. სკოლის გარეშე დარჩა უსახლობისა და უადგილობის გამო 2281 ბავშვი. ეს ციფრები იმას გვეუბნებიან, რომ აწ არსებული სკოლათა რიცხვი მაინც არ ყოფნის მაზრის მოზღვავებულ სურვილს სწავლისას.

საინტერესოა ისიც ვიცოდეთ, როდის გაიხსნა ეს სკოლები. ამ საგნის შესახებ სტატისტიკა გვაწვდის შემდეგ ცნობებს:

29 სკოლა გახსნილია 1920 წელში, 18—1920 წლამდე მენშევიკურ მთავრობის დროს, 5 სკოლის დაარსების დრო არ არის გამორკვეული, ხოლო დარჩენი 36 სკოლა არსებობდა მეფის მთავრობის დროს.

ამოდენა სკოლებში სამეურნეო სკოლა იყო მხოლოდ ორი: სოფ. შრომაში და კარდანახში. უკანასკნელში მოიშალა სამეურნეო განყოფილება და დაგვრჩა მხოლოდ ერთადერთი დაბალი ტიპის სამეურნეო სკოლა სოფ. შრომაში.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს უაღრესი ყურადღება. სამეურნეო ქვეყანაში სრულიად არ არსებობს სამეურნეო სწავლა-განათლება.

არა გვაქვს არც ერთი პროფესიონალური სკოლა, თუმცა მოთხოვნილება მათზე დიდია. აი, მაგალითად, რასა სწერს თავის მოხსენებაში სამაზრო განათლების ინსპექტორი:

„განათლების ინსპექციაში ხშირად შემოდის სხვა და სხვა რაიონებიდან თხოვნები პროფესიონალურ სკოლების დაარსებაზე. ხალხი მოითხოვს დაარსებას იმგვარი სასწავლებლებისას, სადაც ისწავლებოდეს: შალების და ხალიჩების ქსოვა, ჭრა-კერვა და სხვა ყოველნაირი ხელსაქმე. ამ სამართლიან მოთხოვნილებასო, დასძენს ინსპექტორი, უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება“.

დიახაც, რომ უნდა მიექცეს. მე ვიტყოდი უფრო მეტს: მხოლოდ ასეთი სკოლები იქნებოდენ გამომხატველნი იმ პრინციპისა, რომელსაც შეიცავს ცნება: „შრომის სკოლა“.

ის სკოლები-კი, რომლებიც დღეს არსებობენ, არავითარ “შრომის“ პრინციპს არ ატარებენ და თავის კონსტრუქციით მოგვაგონებენ უკვე არქივში ჩაბარებულ გიმნაზიებს, პროგიმნაზიებს და სამოქალაქო სასწავლებლებს.

ავიღოთ თუნდაც სიღნაღის „ჰუმანიტარული ტეხნიკუმი“. რა არის იგი, თუ არა ძველებური გიმნაზია?

სიამოვნებით ამოვიკითხეთ გაზეთებში, რომ ეს უაზრო და უმნიშვნელო სასწავლებლები უკვე იკეტებიან და ადგილს უთმობენ სპეციალ სკოლებს.

ქიზიყის მოამბე.

გლეხკომის საქმიანობა ხონის რაიონში

ხონის რაიონში 8 სათემო გლეხკომია და სარაიონო კომიტეტი თავისი პრეზიდიუმით, რომელსაც შემდეგი ქონება აქვს.

სიმინდი მოგროვილი—2,270 ფ. სიმინ. მოსაგროვებელი—1,500 ფ. ფულად შეკრებილი—940 მან. შესაკრები—600 მან. წისქვილი გუბის თემში 1. საეზოვე და სათესი ადგილი (რომელიც დათესილია)—18 ქცევა. ტყე—12 ქცევა.

ამ თანხიდან შეძლებისდაგვარად გლეხკომი უწევს დახმარებას ქვრივობლებს, ომის და შრომის ინვალიდებს, წითელ-არმიელის ოჯახებს და საერთოდ კი უკიდურესს ღარიბებს.

სიმინდით დახმარება გაცემულია—80 ოჯახზე—250 ფ.

ფულათ 2 ოჯახზე—15 მან. და საექიმო დახმარება კი 2 ოჯახზე.

გარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ, როდესაც ბაზარზე სიმინდის ფასი ავიდა 1 მ. 20 კ. მაშინ გლეხკომმა ღარიბ ოჯახებზე გასცა სიმინდი დაკლებულ ფასებში, სახელდობრ 70 კ. ფუთი.

აი მოკლედ მათი მუშაობა 3 თვის განმავლობაში (მუშაობა დაიწყო 28 მარტს 1924 წ.) მომავალში კი გლეხკომებს აქვთ განძრახული მოაწყონ ბინა სამუშაოდ ჩამოსულ გლეხებთათვის, გაიყვანონ გზები და არხები. დაარსონ აბანოები და ქოხ-სამკითხველოები, შეიტანონ გლეხობაში სწავლა-განათლება და ჩააბან ისინი კოოპერაციაში, მოსპონ სოფლად სამიკიტნოები და მის ნაცვლად ხელი შეუწყონ წითელ-სასადილოების დაარსებას.

ბ. ფალავა.

თერჯოლის თემი (შორაპნის მაზრა)

წასული წლის ივნისიდან თერჯოლის თემში ჩატარდა კოოპერაციის კამპანია. შეკრებილ იქმნა გლეხობიდან საწევროს სახით დაახლოვებით ათას ორასი მილ. ბონებით. თუმცა ეს თანხა არაა საკმარისი კოოპერატივის ასაღორძინებლად, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ გამოცდილი კოოპერატორი გაძღოლოდა ამ ფულს, ის აუცილებლად დიდ სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებას, რადგან „ცეკავშირი“ კოოპერატივებს ნისიად აძლევდა საქონელს რამოდენიმე ხნით.

პირველ ხანებში თითქოს გაშალა ფრთები ჩვენმა კოოპერატივმა, გახსნა სხვადასხვა სოფლებში განყოფილებანი, მაგრამ მალე ეს განყოფილებები დაიკეტა. დღეს ის კოოპერატივიც, რომელიც თემის ცენტრშია, სულს ღაფავს და მალე ისიც დაიკეტება, თუ რაიმე საშველება არ იქნა გამონახული.

რამოდენიმე თვის წინეთ კოოპერატივის გამგეობამ გახსნა ადგილობრივ „ეპო“-ს სასადილო, რომელსაც მხოლოდ სახელი ჰქვია, თორემ „სახრავს“ ე. ი. საჭმელს იშვიათად თუ წააწყდები შიგ. შეიძლება მხოლოდ იშოვო, ისიც ხანდახან ორი ან სამი დღის ციევი მჭადი და „ძმარი“, ღვინით სახელწოდებული.

სწორეთ საკვირველია! თერჯოლის თემი ღვინით ნაქები კუთხეა და აქ „ძმარს“ ძნელად იშოვი· მაგრამ ამ ჩვენ დალოცვილ სასადილოში, როდესაც უნდა მიხვიდე, მუდამ მზადაა ძმარი მხოლოდ ღვინის ანგარიშში“ ღვინოს კი იქ ვერ იშოვი.

შეიძლება ვინმეს ყოველივე აქ აღნიშნული წვრილმანებათ მოეჩვენოს, მაგრამ სწორედ ეს წვრილმანები უტეხენ სახელს კოოპერაციას.

საჭიროა ყოველივე ამას მიექცეს ყურადღება, სანამ კიდევ გვიან არ არის.

თერჯოლელი.

სოფ. ხოვლე (გორის მაზრა)

27 ივლისს, სოფ. ხოვლის კლუბში ადგილობრივი ძალებით გაიმართა წარმოდგენა „ყაჩაღი არსენა“.

საღამოს სოფელში მოწვეული იყო ყრილობა, რომელსაც სცენის მოყვარენიც დაესწრენ და ამის გამო წარმოდგენამ დაიგვიანა.

წარმოდგენას დიდძალი გლეხობა დაესწრო, იყვნენ თბილისიდან მოსული მუშები. წარმოდგენა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა, განსაკუთრებით მეორე მოქმედება. უკრავდა აზიური მუსიკა.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვაც. საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა და ყვავილებით აჯილდოებდა სცენის მოყვარეებს.

წარმოდგენაზე უფასოდ იყო დაშვებული უღარიბესი გლეხობა.

შემოსული ფული გადაეცა ადგილობრივ კლუბს.

მუშა ი. ედ—შვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 8.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. აგვისტოს 6.

I.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შავი ქვის საქმეთა განსაკუთრებული სამმართველო შეიცვალოს საქართვ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის შავი ქვის მრეწველობის სამმართველოდ და გადაეცეს საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობას ავტონომიური ტრესტის საფუძველზე.

II.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შავი ქვის მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილეთ დაინიშნოს ამხ. ნიკო კიკნაძე.

საქართვ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ღოღობერიძე.

საქართვ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე თ. კეჭაღმაძე.

დადგენილება № 29.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივ წიგნთსაცავ-სამკითხველოთა კუთვნილ წიგნების გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ყიდვა-გაყიდვა იმ წიგნებისა, რაც შეადგენს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ წიგნთსაცავ-სამკითხველოების კუთვნილებას.

შენიშვნა: აკრძალვა ესე არ გავრცელდება იმ წიგნებზე, რაც გაყიდულია პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს ან მისი ადგილობრივი ორგანოს ნებართვით პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს ინსტრუქციის თანახმად.

2. ის პირი, რომელსაც მოეპოება ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული წიგნთსაცავ-სამკითხველოების წიგნები, ვალდებულია ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან ორის კვირის ვადაზე ჩააბაროს იგი პოლიტიკური განათლების მთავარ-სამმართველოს თბილისში, ხოლო თბილისის გარეშე-პოლიტიკურ განათლების სამაზრო განყოფილებას.

3. ის, ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, პასუხისგებაში იქნება მიცემული სასამართლოს წესით როგორც სავალდებულო დადგენილების დამრღვევი და ამასთანავე ზემოაღნიშნული წიგნებიც ჩამოერთმევა.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა და ადგილობრივ მიღებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე ლ. ღოღობერიძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი თ. კეჭაღმაძე.

1924 წ. აგვისტოს 6.
თბილისი-სასახლე.

განცხადებები

ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფას მეუღლის
გიორგი მიხეილის ძე
ჩხატარაიშვილის
ტრაღიკულ გარდაცვალებას (მანგლისს ავტომობილზე მომხდარ კატასტროფის დროს) მისი მეუღლე ელისაბედ სიმონის ასული ჩხატარაიშვილი-გელოვანი. ნ. 1397 1—1

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა | წ. აგვისტოს 5-ს მანგლისის გზაზე მომხდარ კატასტროფის დროს ტრაღიკულად დაიღუპა მათი ძვირფასი ამხანაგი, სიცოცხლით სავსე და ნიჭიერი ახალგაზრდა
გიორგი მიხეილის-ძე
ჩხატარაიშვილი
დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია მიხეილის საავადმყოფოში, საღამოს, 6 საათ.
1662 1—1

დავკარგე ბირჟის ქაღალდი № 257 | 11524 მიცემული მარიამიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე ქიათურის სამთომადნო პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 1814, ქსენეფორე ნესტორისძე მიქაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული 13-ე კომისარიატიდან სენაფორე ქართველიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 313 1921 წელს გაცემული ალექსანდრე დრობიშევის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 1012 ვენერა ილიას ასული შუბლაძის სახელზე გაცემული, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე სარეგისტრაციო წიგნაკი ივანე სელიფანოვის სახელზე გაცემული ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი, მიღებული სურების სამხედრო მაგიდისაგან სევერიანე ქაიხოსროსძე რამიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

დავკარგე ჩხარის რაიაღმასკომთან არსებულ სამხედრო მაგიდის უფროსის მიერ მოცემული სარეგისტრაციო პირადი წიგნაკი № 433. სამუელ ნიკოლოზის ძე ჩუბინიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

დავკარგე პასპორტი ივანე გურგენოვის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე საბჭოთა მუშაკების კავშირის საწევრო წიგნაკი № 4483 ვლადიმერ ფარნაოზის ძე თოფურიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

ტირაჟი—13,000

სტამბა „ზარია ვოსტოკის“, სამა წულუკიძის ქუჩა № 4.